№ 135

1877—1905

№ 135

ხუთშაბათი, 4 აგვისტო

ხუთშაბათი, 4 აგვისტო

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія".

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონში პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ ნომერთან ერთად ხელისმომწერლებს
ურიგდებათ პრემია „ივერიის ბიბლიოთეკა" № 3.

შინარსი: . . . . (მეგობრის ნაამბობი) მოთხრობა სვ. ყიფიანისა.
წითელი მანტია, დრამა ბრიესი.
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

დეკანოზი ლუკა თედორეს ძე ჭიპაშვილი და ასული მისი მარო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის—პირველის—მეუღლისა, ხოლო მეორის—საყვარელის დედის

ფეოდოსია ალექსის ასულის ჭიპაშვილის

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება საქარის მაცხოვრის ეკლესიაში, ხუთშაბათს, 4 აგვისტოს, დილის 10 საათზე. (3—3)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და **წერა გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღე. (24—10)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მას მიეცა „ღალატის" ავტორისა და აგრედვე მის მთარგმნელებისაგან (გ. ყიფშიძე და კ. მესხი). განსაკუთრებული უფლება ამ პიესის სცენაზე წარმოდგენისა. ამიტომ დრამ. საზ. გამგ. ნებადაურთველად სხვა ვისგანმე „ღალატის" სცენაზე დადგმა აკრძალულია.

ახალი წიგნი
ეროვნული ენა
თხზ. პეტრე სურგულაძისა
გამოცემა „ცისკარისა" № 2.—ფასი 15 კაპ.
იყიდება შემდეგს ადგილებში:
ტფილისი: გაზ. „ივერიის" კანტორა, და „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოება".
ქუთაისი: ამხ. „კოლხიდა", ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზია და ქუთ. წიგ. გამ. ამხანაგობის კიოსკი.
ბათუმი: „ამხ. გეორგია".
ფოთი: ლ. ახობაძე.
ოზურგეთი: ვ. ს. ხუნდაძე
ჭიათურა: ირაკლი დეკანოზიშვილი
გორი: მიხეილ არჩვაძე.
ახალციხე: ს. ე. ღვთისავარიშვილი.
ახალ-სენაკი: იოსებ ციბაძე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ყრმათა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ზ. ა. თარხანოვი—1—1$^1/_2$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.
ა. გ. კარაპეტიანცი. 1—1$^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.
საღამოობით:
ხ. კ. აპიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ცერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.
ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი ქ. ბძელიშვილი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. Ѣл.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გაროვის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფების ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ხალხის უმრავლესობა და ჩვენი „დასელები"

უეჭველია, მოგეხსენებათ, რომ ჩვენმა „დასელებმა", რომელთა ნამდვილი უფრჩხილო სახელიც ყველამ უწყით, აუარებელი მელანი და ქაღალდი დახარჯეს საქართველოსთვის მოთხოვნილ ავტონომიურ თვითმართველობის უვარგისობის დასამტკიცებლად და „მატყუარა ავტონომისტებისაგან" მშრომელ ხალხის „დასაცველად". უეჭველია, არ მოგეხსენებათ, რომ მათვე აუარებელი კრებები ჰმართეს და უთვალავი სიტყვები ხარჯეს იმავე ავტონომიის დასაგმობად და უარსაყოფელად. ყველგან, როგორც ბეჭდვითი სიტყვის ორგანოში, ისე კრებებზედაც მუდამ ერთსა და იმავე იმეორებდნენ,—რომ ავტონომიის მოთხოვნა ბურჟუაზიული მოთხოვნაა, რომ საქართველოს ავტონომიურ თვითმართველობას მხოლოდ ბურჟუები დაუჭერენ მხარს და მას, ვითარცა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ხალხი თავის დღეში არ მიემხრობაო.

რასაკვირველია, არც ერთ „დასელს'' პლებისციტი არ გაუმართავს, მთელი ერის ხმა არ მოუგროვებია და ამიტომ ხალხის მაგივრად მათ მიერ მოცემული გადაჭრილი და ,,უაპელაციო'' პასუხი უეჭველად ღიმილს მოჰგვრიდა ყოველ ჭკუდამჯდარ ადამიანს.

მაგრამ თვითონ ,,დასელები'' სერიოზულის სახითა და მკაცრის კილოთი იმეორებდნენ მუდამ თავის გადაწყვეტილებას, ვინაიდან მათ მარტო თავიანთი თავი მიაჩნიათ ხალხის წარმომადგენლად და მისი გულის-პასუხის მცოდნედ. ისინი ყოველთვის ,,ჩვენ''-ობით ლაპარაკობენ და ხალხის სახელით პასუხის ძლევა თავის მონოპოლიად აქვთ აღებული. იმათ დაარწმუნეს თავიანთი თავი, რომ ხალხის ინტერესების დამცველები მხოლოდ და მარტო ისინი არიან და ამიტომაც ხალხის მაგიერ ლაპარაკის უფლებასაც მარტო თავისთვის იჩემებენ.

,,მოგზაურის'' ნომრებში ამ გვარ მსჯელობის შედევრები მრავლად მრავალი მოიპოვება. მაგალითად, ამ, ,,ჟურნალის'' მეორე ნომერში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: ,,ერის უმრავლესობა,—აი, ვის მივმართავთ ჩვენ. იმ უმრავლესობას, რომელიც ერის სიმდიდრესა და დიდებას ქმნის და თვითონ კი ამ სიმდიდრისაგან ნაფიჩხები და რჩება; იმ უმრავლესობას, რომელიც ტანჯვითა და წვალებით იწვრთნება ახალი ცხოვრების მოსაგვარებლად, რომელიც სწორედ ამიტომ წინ იყურება... ჩვენ სწორედ ეს უმრავლესობა მიგვაჩნია ერის კულტურულ ძალად''...

ერთის სიტყვით, „მოგზაურის დასელებს" ,,ერის უმრავლესობა'' მიაჩნიათ მოწინავე ძალად და ამ ძალის ,,ინტერესებს იცავენ''. ამიტომ პსიხოლოგიურად ადვილი გასაგებია მათი ხალხის მაგიერ ლაპარაკი და ხალხის სახელით საქართველოს ავტონომიის უარყოფა: ,,დასელები'' ,,ხალხის ინტერესების"გამომხატველნი არიან, ისინი უარყოფენ ავტონომიას, ვითარცა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, მაშასადამე, ხალხიც ავტონომიის უარმყოფელია,—აი, მსჯელობის ლოღიკური მიმდინარეობა,—თუ კი აქ საზოგადოდ ლოღიკის ნატამალი არის,—რომელიც ჰქონდა მათს კამათს ავტონომიის წინააღმდეგ.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიმართავს, რომ იმ ავტონომიურ თვითმართველობას, რომელსაც ჩვენ ვემხრობით და ქართველ ერის განვითარების აუცილებელ პირობად ვთვლით, არ ახლავს არც ერთი ისეთი ელემენტი, რომელიც წინააღმდეგი იყოს ხალხის ინტერესებისა და აკმაყოფილებდეს მხოლოდ ბურჟუაზიის კლასობრივ მოთხოვნილებას.

მაგრამ ჩვენს მოწინააღმდეგეებს, რაც უნდა განუმარტოთ, ცილის-წამებაზე ხელს ვერ აალებინებთ და შეცდომას ვერ აღიარებინებთ. რაც უნდა უხსნათ და უმტკიცოთ, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა მათს თვალში მაინც ბურჟუაზიული და ხალხის ინტერესების წინააღმდეგია.

ჩვენ დღეს არ გვინდა წინად ბევრჯერ ნათქვამი გავიმეოროთ და დემოკრატიულ ავტონომიის ხასიათის აღნუსხვას გამოვუდგეთ. ჩვენი სურვილია ეს წერილი მარტოოდენ დიალექტიკის საფუძველზე ავაგოთ და საკითხს დასელებისავე აზრის მიხედვით დავაკვირდეთ.

ამიტომ წარმოვიდგინოთ ერთ წუთს, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეების ყალბი აზრი ავტონომიის შესახებ მართალია, რომ საქართველოს ავტონომიური თვითმართველობა ბურჟუაზიული იდეალია, და გადავხედოთ თვითონ „დასელთა" ნაწერებს იმის გამოსამჟღავნებლად, თუ რამდენად მართალნი არიან ისინი—მათისავე შეხედულებით, როცა ავტონომიის მოთხოვნისათვის ნიადაგს უარჰყოფენ ქართველ ხალხში. გარწმუნებთ, ეს ძიება არ არის ინტერესს მოკლებული.

„მოგზაური"-სავე პარტიის ერთ ორგანოში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ: „ბურჟუაზიული აზროვნება ჩვენს პარტიას აწვება: შუათანა პარტიები, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთაც პროლეტარიატის ბრძოლის ზოგი წესები შეითვისეს, ჩვენი პარტიის ზოგ მოთხოვნილებებსაც თხოულობენ, სოციალისტურ ფრაზებსაც წარა-მარა ისვრიან და ასე მუშა-ხალხს „ჩვენც თქვენი ვართო"—დასძახიან. ეს არის დემოკრატიული პარტიები... რა არის დემოკრატია? დემოკრატია არის უმრავლესობის პოლიტიკური ბატონობა და, რადგანაც ამ უმრავლესობას შეიცავს პროლეტარი, გლეხი, წვრილი ვაჭარ მრეწველი, ინტელიგენტი და სხვა წვრილი შეძლების პატრონნი, ამიტომ დემოკრატები ცდილობენ ყველა ეს კლასები შეაერთონ, ერთ რაზმად აქციონ, ერთ პარტიად შეადგინონ და საერთო მიზნისკენ მიმართონ. ისინი ებრძვიან უმცირესობას, შეძლებულთა ბატონობას და ძით უახლოვდებიან პროლეტარიატს. აი, ეს მათთვის საკმაო საბუთია, რომ პროლეტარიატის ნამდვილ დამცველათ თავის თავი დასახონ და თავის პარტიაც სოციალისტურ პარტიათ გამოაცხადონ... ამიტომ, არც ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც დემოკრატია. ის დაუცხრომლად ებრძვის ჩვენს პარტიას, ეს პარტია მიაჩნია მას თავის უმთავრეს მტრად და უგებს სხვადასხვა მახეს მის დასაჭერად და თავის წვრილ ბურჟუაზიულ „ჯოგში" გასათქვეფად. ამ მიზნის მისაღწევად ის ქადაგებს ერთობას, სხვა პარტიებთან შეკავშირებას (,,ბლოკი''), უსაშველოდ აზვიადებს დემოკრატიულ წყობილებას, ჩვენს პარტიას უწუნებს სოციალიზმს და თავისი თავი ნამდვილ სოციალისტად გამოაქვს,—ერთი სიტყვით, ყოველნაირ ღონეს ხმარობს ჩვენი პარტიის დასანგრევად. ჩვენი მეტოქე და დაუძინებელი მტერი დემოკრატიული პარტიებია და მათი დანგრევა ჩვენი პარტიის განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ პარტიების სახელებია: ესერები, დემოკრატ-პროგრესისტები, ავტონომისტ-ფედერალისტები (ნაციონალისტები) და ძმანი მათნი.

„ჩვეულებრივად ჰგონიათ, რომ რაკი ჩვენკენ ამდენი სხვადასხვა ხალხი მოდის, ალბად ძლიერი ვართო. ეს შეხედულება მართალიც არის და შემცდარიც, იმისდამიხედვით, თუ როგორი თვალით შევხედავთ ჩვენს პარტიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვალით, დავინახავთ, რომ ის ძლიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლასები ჩვენკენ არ მოვიდოდნენ; თუ მას შევხედავთ ჩვენი პარტიის თვალით,—ის სუსტია, უამისოდ წვრილი ბურჟუაზია არ გაგვეკარებოდა. ესენი პარტიაში შემოდიან როგორც დემოკრატები, მათთვის ჩვენ უბრალო დემოკრატები ვართ და სურთ ჩვენი პარტია იარაღათ მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევად. ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, პირიქით ჩვენ ვართ მათი იარაღი—და ვიბრძვით მათ სასარგებლოდ ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლად... და ამიტომ ასე აღტაცებით აფრიალებენ ჩვენს დროშას წარა-მარად. ევროპის პარტიას იმდენი გავლენა არ აქვს ბურჟუაზიაზე, რამდენიც ჩვენ გვაქვს. მარა ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი პარტია ბერლინისაზე უფრო ძლიერია? სრულიადაც არა"...

როგორც ხედავთ, აქ „დასელები" აღიარებენ, რომ ისინი არიან ერის უმცირესობის წარმომადგენელნი, რადგან, მათის აზრით, ეს უმცირესობაა ერის მოწინავე ნაწილი, ხოლო თუ „მოგზაური" „ერის უმრავლესობას" მიმართავდა მეორე ნომერში, ეს მხოლოდ ქართველ პროლეტარიატის მრავლად გამოჩენის სურვილით მოსდიოდა. ერის უმრავლესობას, „დასელებისა"-ვე სიტყვით, ბურჟუაზიული ელემენტები შეადგენენ, რომელთა იდეოლოგები არიან დემოკრატები. ეს დემოკრატები ემხრობიან საქართველოს დემოკრატიულ ავტონომიას. მაშასადამე, ცხადია, საქართველოს ავტონომიას, „დასელებისა"-ვე „გამოკვლევით", დიდი ნიადაგი ჰქონია საქართველოში, რადგან მას ემხრობიან ის ელემენტები, რომელნიც ერის უმრავლესობას შეადგენენ.

ასეთ დასკვნამდის მივყევართ „დასელთა" აზრის ლოღიკურ განვითარებას, ე. ი. ჩვეულებისამებრ იმის წინააღმდეგს გვიმტკიცებს, რაც ჩვენს მოწინააღმდეგეებს სურდათ...

სცენა და მაყურებლები

ცნობილი ავსტრიელი მწერალი—დრამატურგი, არტურ შნიტცლერი ერთს თავის პიესაში მოქმედე პირის სიტყვებით ასე ახასიათებს თეატრის მაყურებელთ: „მაყურებელი საზოგადოება კერძო პირთა მარტოოდენ კრებული კი არ არის და არცა თვითეულ პიროვნებათა ერთეული, არამედ იგი არის ცხოველი ჯგუფი, რომელსაც თავისებური სული და გული აქვს და რომლის გამოცნობა დღემდე ვერავის ვერ შესძლებია".

მართლაც, წარმოდგენებზე დამსწრე საზოგადოებაში, ვინც კი მას ფხიზლად დაჰკვირვებია, რაღაც ჯადოსნური, მიმზიდველი და განსაკუთრებული რამ არის. ეს საზოგადოება კერძოდ არც მე ჰგავს, არც თქვენ და არც ათასს სხვა ჩვენისთანას. ეს ჯგუფი, რა თქმა უნდა, კერძო პირებისაგან შესდგება, მაგრამ იმავე დროს რაღაც დამოუკიდებელი, თვით-მყოფელი არსია, რომელიც თავისებურად მოქმედებს, რომელსაც თავისი აზრი თუ სურვილი აცხოველებს, რომელიც თავის თავს თვითონვე აღმზნებიარებს და მოდებულ ალს საკვირველის სისწრაფით გარშემო ყველას უკიდებს...

სცენასა და მაყურებელთ შორის მუდამ იყო, არის და იქნება ის ურთიერთობა და მჭიდრო დამოკიდებულება, რომელიც ორთავეს თითქმის ერთ სხეულად ხდის.

მაგრამ ამ დამოკიდებულებაში ზედმოქმედება და გავლენა თუ მაყურებელთა ჯგუფმა ჩაიგდო ხელში, ეჭვი არ არის, ეს მაშინათვე დაეტყობა თეატრს,—იგი დასუსტდება და დაქვეითდება, რადგან სცენა იძულებული გახდება მოიქცეს და გაისარჯოს მაყურებელთა სურვილისამებრ. მაშინ სცენიდან იმას გავიგონებთ, რაც ბრბოს მოეწონება, იმას მოიქმედებენ, რაც ბრბოს ესიამოვნება. ხოლო ვინ არ იცის, რომ ბრბოს მოწონებულ-დადასტურებული ათასში ერთხელ თუ არის სწორე და მართებული, მეტადრე ხელოვნების სფეროში, სადაც, შესაფერ ცოდნა-განათლების გარდა, საჭიროა მხატვრული ალღო, ესტეტიური განვითარება...

ამიტომ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დრამატიული და სასცენო ხელოვნება სრულებით განკერძოებული ქვეყანაა, რომელშიაც უცხო და განუვითარებელ ელემენტებს არ შეუძლიათ აქტიურ მონაწილედ გახდომა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელოვნების ნაკადული აიმღვრევა და ხელოვნების სიწმინდეს დაჰკარგავს. მხოლოდ, რა თქმა უნდა, ეს განკერძოება კარჩაკეტილობას არ უნდა ნიშნავდეს და სცენასა და მაყურებელთ შორის ჩინური ზღუდე არ უნდა აღიმართოს. ჩვენში კი სცენა და მაყურებელნი ერთმანერთში ერევიან და მათ შორის ყოველივე საზღვარი გადალახულია... ჩვენის სცენისა და თეატრის მრავალ ნაკლთა შორის ამ უკანასკნელსაც არა მცირედი ადგილი უჭირავს და, სხვათა შორის, ჩვენის ხელოვნების უკან ჩამორჩენაში ამ გარემოებასაც წილი უდევს...

სცენიდან ხალხს მხატვრული შთაბეჭდილება და ხელოვნური ზედგავლენა ეძლევა, რომელიც ყოველ შემთხვევაში მაყურებელთა მომზადებას წინ უსწრობს; მაშასადამე, სცენა, შედარებით მაინც, თავისუფალი და დამოუკიდებელი უნდა იყოს, რათა თავისი საგანი მიუდგომლივ და უზედგავლენოდ აქეთოს. ხოლო თავისუფალ და დამოუკიდებელ მოქმედებისათვის საჭიროა ის განსაზღვრა და განკერძოება სცენასა და მაყურებელთა შორის, რომელიც ჩვენ ზემოდ აღვნიშნეთ.

მართალია ხშირად ისეც მომხდარა, რომ საზოგადოებისაგან სცენის განცალკევებას მეტად სასტიკად უჩენია თავი,—მათ შორის არა თუ მჭიდრო დამოკიდებულება, საერთოც კი არაფერი ყოფილა, რის გამოც ერთმანეთისა ვერა გაუგიათ-რა. ამგვარ გაუგებრობის ურთიერთისას სამწუხარო შედეგიც მალე მოჰყოლია: სცენა დაობლებულა, როცა მაყურებელთა თანაგრძნობა მოჰკლებია. როცა პიესები თავის შინაარსით თუ დედა-აზრით ყოველსავე ინტერესს მოკლებულია, როცა მსახიობთა ხელოვნება უფერულია და უკბილო, როცა თეატრის გამგებლობა უღონო და თან ცალკერძია,—მაშინ მაყურებელნიც განზე იწევენ, თეატრის დარბაზი ცალიერია. მაგრამ თუ თეატრი და სცენა თავის მაღალს დანიშნულებას პირნათლად ასრულებს, ესე იგი, როცა სცენაზე ყველაფერი წესიერი და სრულია, ნიჭისა და შრომა-მეცადინეობის ძალით გაჩაღებული, მაშინ მაყურებლებიც მისს ნაყოფიერსა და განმავითარებელ გავლენის ქვეშ არიან და ხალხიც თეატრს დიდის ინტერესით ეტანება.

ყოველი განვითარებული მაყურებელი პატივით უნდა ეპყრობოდეს სცენას და არამც და არამც არ გადალახოს ის საზღვარი, რომელიც სცენასა და მაყურებელთ შორის მიჯნას შეადგენს: რამპა ანუ სცენის კიდე გადუვალი ღობეა სცენასა და პუბლიკის შორის. დამოკიდებულება ურთიერთს შორის, მეტადრე ეხლანდელ დროში, ფაქიზი და ზრდილობიანი უნდა იყოს და ისიც აუცილებლად ერთმანერთის პატივისცემის საფუძველზე აღმოცენებული. ხალხის გულის მოგება არა ხელოვნურის სახსრებით, არამედ პირმოთნეობით, ლაქუცით, უმართებულო საქციელით არ ეკადრება სერიოზულ სცენას. სცენას ერთად-ერთი მიმზიდველი ძალა აქვს,—ნიჭისა და გონიერების შეგნებული და შეერთებული შრომა!..

ერთის მხრივ მაყურებელთა მხატვრული და ესტეტიური გრძნობა-გონების განვითარება და მისი ინტელიგენტობის აღმაღლება და მეორეს მხრივ მაღალ გრძნობათა და ზნეობრივ ცნებათა აღორძინება და დამკვიდრება ხალხში,—აი, ის მთავარი საგანი, რომლის განხორციელებას უნდა ცდილობდეს აწინდელი სწორი და მართებულად დაყენებული სცენა. ქართული სცენა კი, ერთხანად მაინც, სულ სხვა გზას ადგა. ეგ ხანა იყო დრო „ხანუმების", „კინტოებისა" და სხვა ამისთანებისა...

სცენის მოყვარე.

მუშათა კავშირები და ფინანსთა სამინისტრო.

გაზეთებში მოხსენებულია, ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა ყოველი ღონე იღონოს მუშათა კავშირების გასავრცელებლად. ამის გამო სამინისტროს განუზრახავს მუშათა კავშირებს გამოკვლევა და შესწავლა გერმანიასა, ინგლისსა და ამერიკაში. ამ კავშირებს სარჩულად გერმანულ კანონ მდებლობას დაუდებენო; ხოლო საგნის შესასწავლად სამინისტრო ერთ-ერთს თავის წევრთაგანს ჰგზავნის ევროპაში.

მეტად საყურადღებო და სამინისტროს დამახასიათებელი ამბავია!..

დიდი ხანია ვიცით, რომ სამინისტრო წინააღმდეგი არ არის... შორეულ მომავალში მუშათა კავშირებს ხელი შეუწყოს, მაგრამ ეს მხოლოდ... შორეულ მომავალში!..

მართლაც, სამინისტრომ რა ხანია შეამუშავა ამ

გვარ კავშირების პროექტი, რომელსაც საფრანგეთის „სინდიკატები" დაუდვა საფუძვლად და ვალდეკ რუსსოს-მიერ შემუშავებულ კანონებს შეუფარდა.

კარგი იყო თუ ავი ეს კანონები, ეთანხმებოდა იგი თვით საფრანგეთის „კავშირების" სინამდვილეს თუ არა, ან რა ნაყოფს მოიტანდა რუსეთში, ეს სხვა საკითხია და მის გამოკვლევას არ გამოვუდგებით.

მხოლოდ თვით ის საბუთი, რომ მაშინ სამინისტრომ შეიმუშავა „კავშირების" პროექტი, იმასა ჰმოწმობს, რომ მას საჭიროდ უცვნია იგი, საჭიროდ დაუნახავს, რომ მუშებს თავისუფლება მიენიჭოს კავშირების შექმნისა და დაარსებისა.

მაგრამ ეს იყო წინად!

ახლა?.. ახლა სამინისტროს სხვა აზრი მოსვლია, ძველი პროექტი დაუწუნებია და ახლის შემუშავება განუზრახავს.

სამინისტროს ახალი ნაბიჯი ძველ ჩვეულებას გვიყენებს თვალწინ. მას სურს საქმე გააჭიანუროს რაც შეიძლება ხანგრძლივად, მისი მოწესრიგება რაც შეიძლება შორეულ მომავლისათვის გადასდოს.

თუ ასე არ არის, მაშ რად დასჭირდა სამინისტროს ევროპაში საგანგებოდ კაცის გაგზავნა და იქ ,,შესწავლა'' მუშათა კავშირებისა?...

ეს მხოლოდ ფულის ფლანგვაა!..

მუშათა კავშირები, ყველა ქვეყნისა, იმდენად გამოკვლეული და შესწავლილია უკვე, რომ ,,საგანგებო'' პირნი ახალს ვერარაფერს აღმოაჩენენ, მთელი დედამიწის ზურგიც რომ მოიარონ...

აიღეთ შლესერის თხზულებანი, სადაც დაწვრილებით აღწერილია გერმანული მუშათა კავშირები, გადაშალეთ ვებბისა და მიტჩელის თხზულებანი და თვალწინ გადაგეშლებათ მთლიანი სურათი ამერიკულ მუშათა კავშირებისა.,.

ყველა ქვეყნების მუშათა კავშირების შესწავლა საკუთარს კაბინეთშიაც შეიძლება და უკეთესადაც, ვიდრე მოგზაურობის დროს. მით უმეტეს, რომ „კავშირები" ყოველთვის დაწვრილებითს ანგარიშებს ამჟღავნებენ, დაფარული არა აქვთ რა და ყველა მიზანი თუ მოქმედება ნათლად და მარტივად არის განმარტებული.

ყოველ შემთხვევაში ის მეცნიერნი, ვისაც სამინისტრო გაგზავნის საკითხის „გამოსაკვლევად" და „შესასწავლად" იმაზე მეტს ვერას შეგვძენენ, რაც ზემოხსენებულ თხზულებაშია მოთავსებული...

მაშ რად დასჭირდა სამინისტროს საკითხის შესწავლა?..

პასუხი ყველასთვის ცხადია და სამინისტროსათვისაც საიდუმლოებას არ შეადგენს:

ამ სახით საქმე გაჭიანურდება, ერთი-ორი წელიწადი გაივლის და სამინისტროსაც ხომ ეს უნდა!..

თუ კი სამინისტროს განზრახვა ამ მიზნისკენ იხრება, რაღა საჭიროა ამერიკის ახლად აღმოჩენა!.. პირდაპირ განაცხადოს, რომ „მუშათა კავშირები ჩვენთვის ნაადრევია და შეუფერებელიო", მორჩა და გათავდა.

ეს იქმნებოდა ღირსეული პასუხი ღირსეულის სამინისტროსი.

მაგრამ ნიღაბ-ჩამოფარებულ ატმოსფერაში აღზრდილი და გამოჭედილი სამინისტრო, ამას როგორ გაბედავს?!.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

2 აგვისტო.

პოლტავა, 2 აგვისტო. ოფიციალური ცნობა მოვიდა, რომ ხალხის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ განცხადება, რომელიც მინისტრთა საბჭომ განიხილა, ხელმწიფე იმპერატორს წარედგინებაო.

მაკარია, 2 აგვისტო. სტაროობრიადცების სრულიად რუსეთის კრებები დაიწყო. კრებები გარეშე ხალხის დაუსწრებლად ხდება.

სარატოვი, 2 აგვისტო. ქალაქის საბჭოში წინადადება შეაქვთ ქალაქის მილიციის შედგენაზე.

პეტერბურგი, 1 აგვისტო. კრასნოე სელოში, უმაღლესის თანადასწრებით, არტილერიის აღლუმი იყო.

პეტერბურგის დედათა ყველა უმაღლესს კურსებზე ლექციების კითხვა 1 სექტემბრიდან დაიწყება. 1—16 სექტემბრამდე, საღამ-საღამობით, დასრულების ეგზამენები მოხდება. სამხედრო უწყებამ დაამტკიცა, რომ ოფიცრებსა და სხვა კლასის მოხელეთ, ვინც კი მანჯურიაში იგზავნება, ირკუტსკის სამხედრო ოლქის იქით, რაკი მიჯნას გადასცდებიან, ორკეცი ჯამაგირები უნდა მიეცეთ. 15 სექტემბრიდან უმაღლესად მონიჭებულის უფლებით, უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ ნება ეძლევათ, სამხედრო ბეგარის მოსახდელად, ვოლნოოპრედელიაუშჩად ჩაეწერნენ, ხოლო საინტენდანტო დაწესებულებაში იმსახურონო.

სარატოვი, 2 აგვისტო. ,,სარატოვის საეპარქიო მოამბე'', რომელიც ორმოცი წელია რაც გამოდიოდა, ახლა უქმდება.

პარიზი, 2 აგვისტო. ,,ტან''-ში მოთავსებული წერილი იმ აზრს აღიარებს, რომ ინგლისისა და საფრანგეთის საზიარო ინტერესები მშვიდობიანობის თავდებიაო, თუმცა იგი რუსეთის კავშირს მტკიცედ ესარჩლება, რადგან იმედი აქვს, რომ რუსეთი მალე გამოაბრუნებს თავის საქმეებს და მოქმედების თავისუფლებასაო. ეს წერილი მეტად ფრთხილის კილოთი დაწერილი და პოლიტიკურ წრეების აზრის გამომხატველია. ,,პატრი'' მახლობელ გამოფხიზლებას აღნიშნავს და ამტკიცებს, რომ საფრანგეთი ინგლისის ეგოიზმს ყოველთვის სიფრთხილით უნდა მოეკიდოსო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აგვისტო.

გოძიადანი, 29 ივლისი. იაპონელების ბატალიონი, რომელიც იანდილინის მთა-გრეხილს უახლოვდებოდა, საღამო ხანს უკუ გდებულ იქმნა. 23 ივლისს ხარბინის მიდამოებში ხუნხუზები გამოჩნდნენ, მაგრამ რუსები თავს დაეცნენ და 17 კაცი მოუკლეს. 30 ივლისს რუსების ცხენოსანმა რაზმმა თვითონ მიიტანა იერიში დასავლეთ მანდარინის გზაზე, იაპონელები სამი სოფლიდან განდევნა, არტილერიამ მათ ბანაკს ზარბაზნები დაუშინა და დიდი ზარალი მიაყენა. 23 ივლისს იაპონელების რაზმმა პახარის მახლობლად რუსებზე იერიში მიიტანა, მაგრამ უკუ გდებულ იქმნა. 24 და 25-ს კიდევ მიიტანეს იერიში, მაგრამ მეორეთაც უკუ აგდეს. იაპონელებმა ბრძოლის ველზე დაჭრილები და ამუნიცია დასტოვეს. 25 ივლისს იაპონელების ბატალიონმა და ესკადრონმა სინპუნძანძინს მოუარეს და რუსის სადარაჯო ადგილები დაიჭირეს. 27 ივლისს რუსის რაზმმა თავის პოზიცია, პახარი ისევ დაიჭირა.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. დღევანდელ სხდომაზე კონფერენციამ ზავის პირობების მე-4 და მე-5 მუხლები განიხილა. პირველ მუხლზე შეთანხმდნენ, მეორეზე—ვერა.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. კორეის შესახებ რწმუნებულნი შეთანხმდნენ. დილის სხდომა შუადღის პირველ საათზე დამთავრდა. მეორე მუხლის განხილვას, რომლის შინაარსიც არავინ იცის, სამ საათზე შეუდგნენ. კორეის საკითხის განხილვის დროს, ვიტტემ იაპონიის რწმუნებულს მოსთხოვა: ხელ-შეკრულებაში ნათლად უნდა იყოს აღნიშნული იაპონიის აზრი, რადგანაც მას კორეა იაპონიის პროვინციად სურს გადააქციოსო.—პორტსმუტში მივიდნენ ბანკირები: შიფი, ზელიგმანი და ოსკარი. მოვიდა, აგრეთვე, კონსტანტინოპოლის ყოფილი ამერიკელი ელჩი, შტრაუსი, როგორც ამბობენ, იმ მიზნით, რომ ვიტტესთან რუსეთის ებრაელების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ იშუამდგომლოს. ზავი ჰფიქრობს, რომ შტრაუსი სესხის შესახებ მოსალაპარაკებლად ჩამოვიდაო, ზავი კი—ფიქრობს, —ერთისთვისაც და მეორისთვისაცო. კორესპონდენტების აზრით, ზემოდ-დასახელებული ბანკირებიც სესხის შესახებ მოსალაპარაკებლად მოიწვიეს.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. კონფერენციის სხდომა ექვსის საათისთვის გადაიდო. შტრაუსმა განაცხადა: ვიტტესთან მოლაპარაკება მხოლოდ ებრაელების შესახებ მქონდაო.

პორტსმუტი, 1 აგვისტო. საზავო პირობების მეორე მუხლი მანჯურიას და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულს შეეხება. ამბობენ, კორეის შესახებ მუხლი იმ რედაქციით მიიღეს, როგორც ვიტტემ წარადგინაო. როგორც სატო იუწყება, მეორე და მესამე მუხლი უკვე განიხილეს. ვიტტემაც განაცხადა, რომ შტრაუსთან მოლაპარაკება მხოლოდ ებრაელების შესახებ მქონდაო.

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. ზავის პირობების მეოთხე მუხლი, რომელიც ლიაოდუნის ნახევარ კუნძულს ეხება და იაპონელებს ანიჭებს საიჯარო უფლებას, დღევანდელს კრებაზე მიღებულ იქმნა.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. იმ სამის მუხლის ძალით, რომელიც რუსეთმა უკვე მიიღო, იაპონიას განსაკუთრებული უპირატესობანი და უფლება ენიჭება კორეაში. რუსეთი და იაპონია შეთანხმდნენ, რომ დასტოვონ მანჯურია, ჩინეთის მიწა-წყლის ხელშეუხებლობა დაიცვან და ღია კარის პოლიტიკა დაამყარონ. რუსეთი ხარბინის ქვემოდ რკინის გზას ჩინეთს უთმობს. მეექვსე მუხლი სახალინის დათმობას ითხოვს. შესაძლებელია, რომ ამ მუხლის განხილვა გადაიდოს იმ დრომდე, სანამ სხვა მუხლებში შეთანხმდებიან. თუ ხელშეკრულობა დაიდო, უკვე მიღებული სამი მუხლი ვაშინგტონის ტექსტში იქმნება შეტანილი, რადგან იგინი ორივე მხარემ ერთხმად მიიღო. მანჯურიიდან ჯარების გაყვანაზე რუსეთმა თავისი გაიტანა. კომურას უნდოდა მხოლოდ რუსებს მიეტოვებინათ მანჯურია, მაგრამ ვიტტემ ბეჯითად მოითხოვა, ორთავე ჯარმა დასცალოს მანჯურიაო. თუმცა დროებით ზავის შესახებ არ უთათბირნიათ, მაგრამ მოლაპარაკებაში დიდი უთანხმოება არ ეტყობათ. ოიამა ბრძოლას აღარ დაიწყებს, რადგან მთელის ქვეყნის თვალში იაპონია ამით სახელს გაიტეხავსო.

პარიზი, 2 აგვისტო. იაპონიის ის განზრახვა, რომ რუსეთს ბალტიის ზღვიდანაც მოუაროს, ინგლისსაც მოსწონს. ეს კი მეტად საშიში ნიშანიაო.

როგორც პორტსმუტიდან იუწყებიან, ვიტტეს განუცხადებია: კორეა უკვე აღარ აინტერესებს რუსეთს, ხოლო, რადგან კორეაში რუსებს ბევრი საკუთარი მამულები აქვთ, საჭიროა კერძო საკუთრების შესახებ მოლაპარკება და შეთანხმებაო. მეორე მუხლი მანჯურიიდან ჯარების გაყვანას ეხება. ვიტტემ რკინის გზის გადაცემის გამო რამდენიმე წინადადება შეიტანა. ამერიკაში მეტად უიმედოდ უცქერიან საქმეს. ჰშიშობენ, რომ კონტრიბუციისა და მიწა-წყლის დათმობის საკითხი, რომლის განხილვასაც ახლა შეუდგებიან, საქმეს დიდად გააძნელებსო. აქაური დიპლომატიური წრეები ჰფიქრობენ, რომ ზავის მოსახდენად და კეთილად დასაბოლოვებლად საჭიროა ინგლისისა, საფრანგეთისა და შეერთებულ შტატების ჩარევა, რომ იაპონიას ზომიერი პირობები წამოაყენებინონო.

ბერლინი, 2 აგვისტო. „ბერლინერ ლოკალანცეიგერის" კორესპონდენტი სწერს, რომ ინგლისი მოწადინებულია, ომი გაგრძელდეს და რუსეთი უფრო დასუსტდესო.

პორტსმუტი, 2 აგვისტო. საღამოს სხდომა ექვს საათზე გათავდა, და ვიტტე მაშინვე სასტუმროში დაბრუნდა. მან „მატენის" კორესპონდენტს უთხრა, რომ მეორე და მესამე მუხლის განხილვა დავასრულეთ და ხვალ მეოთხე მუხლის გარჩევას შევუდგებითო. როდესაც კორესპონტენტი შეეკითხა, მეორე და მესამე მუხლის განხილვის დამთავრება ნიშნავს თუ არა შეთანხმებასაო, ვიტტემ უპასუხა: „ამ მუხლებზე შევთანხმდითო". კორესპონტენტი უმატებს, იაპონელები მოლაპარაკების ისევ საიდუმლოდ შენახვას თხოულობენო. კორესპონდენტი დარწმუნებულია, რომ ზემოდ დასახელებული მუხლები მანჯურიის და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ევაკუაციას შეეხება. დაბრკოლება [illegible] ნხმებას მაშინ [illegible] როდესაც ლაპარ კონტრიბუციასა და ხარჯებზე ჩამოვარდება. [illegible]

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო შო ხმა დადის, ამ დღეებში დროებით შერიგ მოხდებაო. ვიტტე იუწყებოდა, როგორც სჩ მოლაპარაკება კარგად დამთავრდება და ს მშვიდობიანობის ჩამოგდებით გათავდებაო. ტომ ამჟამად ბრძოლის დაწყება არც საჭი და არც სასურველიაო. როგორც ამბობენ, დრო ებით შერიგება პორტსმუტში მოხდება და ბრძოლის ველზე. დროებით შერიგების პი ბებს ვიტტე და კომურა შეიმუშავებენ და ნევიჩსა და ოიამას გაუგზავნიან. ლინევი ოიამა ამ პირობებს ხელს მოაწერენ და ბრძ შეაჩერებენ (რ. ს.).

პორტსმუტიდან დეპეშით იუწყებიან: ხმ დის, ვითომ ვიტტეს ამერიკაში 1 მილიარ ნეთის სესხება უნდა. ამ ფულს რუსეთი ნიას მისცემს ომის ხარჯის ასანაზღაურებ ამიერიდან პრესსას ყოველ დღე ორჯერ მენ ოფიციალურ ცნობას მოლაპარაკების ნარეობის შესახებ (რ. ს.).

პარიზსა და ნიუ-იორკში ვიტტეს ლაპა ჰქონდა რუსეთის ახალ სესხის შესახებ. სის ტებიც პასუხი ვიტტემ პეტერბურგში გაგზ და თავისით დაუმატა: თუ ზავი არ ჩამოვარდ რეფორმები არ შემოვიღეთ, ფულს ვერსად ვიშო თო. ამერიკისა და საფრანგეთის ფინანსისტ დაგენებით ურჩიეს ვიტტეს, უეჭველად ზავ მოაგდეთ, ომი მოსპეთ და რეფორმები მოახ ნეთ, თორემ რუსეთს გაკოტრება მოელისო (რ.

ოისტერბეიში, ამერიკის შეერთებულ შტ ბის პრეზიდენტს, რუზველტს ვიტტესთან და მურასთან უბაასნია. რუზველტი ვიტტეს ფრ გულად ელაპარაკებოდა. კომურამ ფრანგ არ იცოდა, მაგრამ მაინც ყურს უგდებდა ვიტ ტესა და რუზველტის ლაპარაკს. კარგა ხნის მდეგ ვიტტე მობრუნებულა და ერთ იაპონელ სთვის ფრანგულად უკითხავს, ბარონმა კომ ფრანგული იცის თუ არაო. იაპონელს პას არ მიუცია, რადგან ფრანგული არ სცოდნ ვიტტეს მეორე იაპონელისთვის უკითხავს. უთქვამს, ჩვენ, იაპონელები უფრო ინგლის ენას ვეტანებით, ფრანგულს კი მაგდენ ვაფასებთო. ამავე იაპონელს უთქვამს, ბარონ კომურამ ერთ დროს იცოდა ფრანგული, მაგ მერე დაივიწყდაო. ამის გამო „ოდ. ნოვ." ნიშნავს: დაუჯერებელია, კომურას იმდენა ვიწყებოდა ფრანგული, რომ სხვის ლაპარაკ ღარ გაიგოს. ეს ჩვეულებრივი იაპონური ხ და რუსეთის წარმომადგენელნი ამ მხრივაც და გაფრთხილდნენო (ი. ნ.).

პორტსმუტიდან „სლოვოს" დეპეშით ატყ ნებენ: „28 ივლისს, კრების დროს, შემდეგ

ფელეტონი

—

ქართლის ყარამანიანი

მთასა ზეთისხილისასა, სადაცა ასვენია კუბო ფალავანთა მამათმთავარისა, ორ ყბაოსანისა და ათ მუცლოვანისა, ფალევანთა ზედა ფალევნისა ლუარსაბისა, დილასა ერთსა განხდა ხმა საყვირისა. საყვირი ესე აყვირა ლუარსაბისა შვილისა შვილმან, რომლისა სახელი გახლავთ როყინა და რომელმანცა თავი რუსეთში განისწავლა და იქავე მიიღო ფირმანი უძლეველისა ფალევანისა.

ხმამან მისმან მოუწოდა მოძმეთა თვისთა, რათა ემცნო მათთვის ფრიად საფალევნო ამბავი. და შეიკრიბა შესაკრებელი იგი ყოვლისა კუთხიდან. მრავალი მათგანი ქვევრიდან ამოძვრა, სადაცა იგი თავდაყირა ჩაკიდებულიყო სარაყიფოდ. მრავალი მათგანი რუმბის ქვეშიდან გამოქანდა, მრავალი მათგანი ნადიმიდან ოთხი ფეხით მოჰქენდა და მრავალიცა ქარმა წამოიღო.

სვავნი ჰკვირობდნენ მათსა თვალისა განმჭვრეტელობასა და მყეფარნი—სუნის ალღოსა მათსა. მგელი შურის თვალით უყურებდა, ხოლო ფოცხვერმა კლანჭები თვისი დამალა, რამეთუ სირცხვილეულ იქმნა მისი ვაჟკაცობა წინაშე შეკრებილ ფალავანთა. ქვეყანა ჰკვირობდა მათსა დარაზმულობასა, ვინაიდან დღიდან მათის გაპრაპორშჩიკებისა აღარ ენახათ ივანოვის ბიუროში დაგირავებული ხანჯლები და მას აქეთ, რაც ტყეები გაიკაფა, არცა ერთათ შეკრებილი ნადირები.

ყოველსა მათგანსა მახვილზე ხელი წაევლო და პირიდანაც ღვინოსა აქცევდა. ასე რომ მიდამო იგი მოიცვა სუნმა ბახუსისამან, რისა გამოცა ველსა ზედა მრავალი ფრინველი მოიწამლა, მრავალი მხეცი უსულოდ დაეცა. ხენი ბარბაცებდნენ და მდინარეში თევზები იხოცებოდნენ.

თვალწარმტაცი კრებული ესე შემოეძღო გარე მთასა მას წმინდასა, სადაცა განისვენებდა არტალასა წინაშე უძლეველი ლუარსაბ ათმუცლოსანი. აქავე იყვნენ ბანოვანნიცა მათნი, რომელნიც კნეინობითა თვისითა ირგვლივ ვარდებსა ჩრდილავდნენ და თვალთა ისრითა თვისითა სპილოებს უპობდნენ გულსა შუაზე. ყვავილებს თავი ძირს დაეხარათ და მზესაცა სხიოსნობა მოჰკლებოდა მათისა **ბრწყინვალებისა** წინაშე. იყო სიხარული და სიყვარული ფრიადი, რამეთუ ფალევნებს თავი უნდა განეწირათ და ბანოვნებს ჭრილობანი შეეხვიათ მათთვის.

— ჰოი, ფალევანთა ზედა ფალევნნო! უძლეველნო ყველგან და მარადის! ყოველი ქუჩა თრთოდა წინაშე თქვენსა და ყოველი სამიკიტნო თავსა იხრიდა წინაშე მახვილისა თქვენისა. ვინ უწყის, რაოდენი აგიკუწავთ? რაოდენისთვის შეგინანებიათ შელოდებანი, და რამდენს დაუხევნია უკან წინაშე თქვენისა რაზმისა! ნუ თუ არ თრთოლავს მკერდსა შინა თქვენსა გული იგივე და აღარა სჭრის მკლავი თქვენი, როგორათაც აქამომდე?!—

მიმართა როყინა ფალევანმა მოძმეთა თვისთა ძლიერისა ხმითა. რაზმი ფალევანთა შეინძრა და ათიათასმა მახვილმა შექანა ჰაერი.

— გმირნო, უძლეველნო! მე ეჭვიც არ დამბადებია თქვენს სიმამაცეში, მაშ დაიკიდოს ყოველმა თქვენგანმა თითო თორმეტ დუიმიანი ზარბაზანი, ორ-ორი ტყვიის მტყორცნელი, ხუთ-ხუთი რახტი, იხმაროს ჩაფხუტი, ჩაიცვას ჩაჩქანი და გამოვიდეს ბრძოლისა ველზე. მტერი ბარიდან მოიწევს და საცაა შემოგვეჭრება, გაგვანადგურებს ჩვენ, გაანადგურებს საფლავსა ნეტარ ხსენებულის პაპისა ჩვენისა ლუარსაბ ათმუცლოვანისასა. მონანი ჩვენნი აღსდგნენ ჩვენზედა, თავხედებმა იკადრეს ურჩობა ჩვენი და უარჰყვეს წმინდა ადათი, გარდმოცემული თვით უზენაესიდან. ქვევრები ჩვენი შეიქნება ცარიელი, ბეღლები ჩვენი საქათმედ გადაიქცევა, სამფლობელო ჩვენი ხელიდან წაგვერმევა. ვითარ მოითმინოს კუჭმან თქვენმან, ვითარ განძლეს-და მუცელი ჩვენი, ვითარ იფრინონ ბანოვანთა ჩვენთა და ანუ როგორი-და უნდა იყოს სახელი ჩვენი ქვეყანასა ზედა!

— ვჩეხოთ! ვკრათ! მოვკლათ! გრგვინავდა ფალევანთა რაზმი, და ჩაფხუტებს ჰაერში ისროდა.

კნეინები სარის ტანისა რხევითა მათ შარბათს ურიგებდნენ და სარტყელ-გულისპირითა თვისითა პირიდან სიმძივნარისა ქაფსა სწმენდავდნენ.

— ხოლო უპირველესად ყოვლისა, ვიდრე საქმეთა საგმიროთა შევუდგებოდეთ, წესისამებრ ჩვენისა, თაყვანი ვსცეთ წმინდასა მას საფლავსა, ჩვენის მამათ მთავარისა, რომელი ასვენია მთასა ამაზე. სული მისი უძლეველი შთაებეროს გვამსა ჩვენსა და სახელი მისი გვიძღოდეს წინ!

— ომენ—შენს მადლსა! დაიგრგვინა ფალევანთა კრებულმა და თვალნი თვისნი მთისა მწვერვალსა მიაპყრნა.

კნეინებმა დაიჩოქეს და თაყვანი სცეს იმავე მწვერვალზე სავანესა ლუარსაბ ათმუცლოვანის მეუღლისა დარეჯანისასა.

ბელადი შეტრიალდა, მერე მხრებში გადაიზნიქა, სახელოები გადაიკეცა და გაუძღვა რაზმს მთისა მწვერვალისკენ. მიუახლოვდნენ რა საფლავსა გმირისასა, ორმოცდაათს წყრთაზე, ჯერ შეხტნენ მაღლა, მერე დაემხნენ პირქვე და აქვითინდნენ.

ჰოი, უბრალო მომაკვდავნო, ასეთი ყოფილა წესი ფალევანთა!

ტიროდნენ კნეინებიცა და მოსთქვამდნენ ხმითა სირინოზისათა.

შემდგომად ზარისა, სამგზის ჩოქით შემოუარეს საფლავს და შევიდნენ სავანეში. თვალთა მათთა დიად რომე საკვირველება წარმოუდგა: სავანე ესე სავსე იყო გმირისა საგმირო საქმეთა ნაშთებითა: კაჩხოებზე ეკიდა ორი ათასი გამოხრული ზაქისა ჩონჩხი, ხუთი ათასი უმად დალეჭილი არტალა, სამასი კამეჩისა ბარკალი. ოთხასი ძროხისა ელენთა და მრავალი წერილი და სხვილი ფრინველისა თავ-ფეხი. საფლავის თავზე იდგა ქვაბი, რომელშიაც სამი სპილო ჩაეტეოდა და რომლითაც დღეში, შვიდგზის მზადდებოდა გმირისათვის საჭმელი. გლეხის ორ ქანდაკს ეჭირა ხელში ორ-საპალიანი ჯიხვი და იქავე იდგა რუმბი ას-კოკიანი.

ფალევანნი კვირობდნენ თავის მამად მთავარისა ესოდენ სიმაგრეს და ერთმანეთსა მუცლებს უზომავდნენ, ხოლო ზოგი მათგანი საფლავისა ქვას კუჭის ადგილას ჰკოცნიდა.

ბანოვანნი დარეჯანის ქანდაკებას ჩიხტა-კოპს უსინჯავდნენ და იყვნენ ბჭობაში, თუ რადენად სათუთი და საროს ტანისა ყოფილა დედიდედა მათი.

აქ როყინამ, ვითარცა ფალევანმა აკადემიასა შიგან განსწავლულმა, გადმოიღო კაჩხიდან ბეჭისა რამდენიმე ძვალი და ზედ მაღალის ხმით კითხულობდა:

—მე ლუარსაბ ათმუცლოვანს, თავადსა და ფალევანს, მომართვა მსხვერპლი ესე მონამან ზაქარიამ... მომართვა მსხვერპლი ესე მონამან მიხამ... ფერხთა წინა ჩემსა დასდო ზაქი ესე უღირსმა მონამან ლექსომ... და სხვადასხვა... ერთი სიტყვით, ყოველსა მსხვერპლსა შეწირულსა მატიანე მოიხსენიებდა.

როყინამ, რა გაათავა კითხვა, მიმართა ფალევანთა და ბანოვანთა:

— ჰოი, გოლიათნო—ძმანო და თქვენ, მზენო ხმელეთისანო—დანო! თქვენი თვალი ხედავს თუ რაოდენად მართალი ვართ ჩვენ, ოდესცა მონათა ჩვენთაგან ვთხოულობთ ყოველსავე ხარკსა. წმინდა ისტორია უწმინდესის გვამისა ამის საბუთია ჩვენის მფლობელობისა მონათა ზედა და აგარაკთა მათთა, სახლთა მათთა, ცოლშვილთა მათთა და ყოვლისზე რაიცა გააჩნიათ მათ. აწ აღზდგნენ უღირსნი ჩვენზედა და მუცლები ჩვენნი ჩავარდნენ გლოვასა. ვითარ მოითმინოს გულმა ჩვენმა უკმეხობა მათი და თავხედობა მათი. შევფიცოთ საფლავსა ამის წინაშე ერთმანეთს ერთგულობა, ძმობა ფალევნური და ერთითა ძალითა მივიტანოთ იერიში განდგომილ მონათა ბრბოზე.

— ვკრათ! მოვკლათ! ვჩეხოთ!—გრგვინავდა რაზმი.

— უგვანონი, გასრისეთ, ფალავნებო, აღმოხოცეთ, გმირებო, და საჩუქრად იძლევით ჩვენი სიყვარული.—ახალისებდნენ ბანოვანნი ფალევნებს.

— მაშ ფიცი! შეჰყვირა როყინამ და დაიჩოქა საფლავის წინ!

— ფიცი!—დაიგრგვინა რაზმმა და დაიჩოქა.

— მადლი ნაკბილარისა ერკემელის ამის რისხავდეს მოღალატეს. ძალმან გასუფთავებულისა კამეჩისა ბარკალისამან ჩვენი მამათმთავრის შეჩვეულებისაებრ შერისხოს მოღალატე! ბეჭმან ამან, რომლისა ნაწილები აწ განისვენებენ წმინდათა თანა ამა საფლავსა შიგან, უმადოდ ჰყოს მოღალატე! ჯიხვმან ამან შეუკრას ყანყრატო მოღალატეს, როდესაც იგი მეჯლიშობდეს. და იყოს კურთხევა სავანესი ლუარსაბ ათმუცლოვანისა თქვენზედა, ფალევანნო!

— ომენ—შენს მადლსა!—დაიგრგვინეს ყველამ ერთად და, ემბორნენ რა საფლავსა წმინდას, ჩარაზმდნენ საომარსა წესისაებრ.

როყინა ბელადი წინ გამოვიდა და, იშიშვლა რა ხმალი წამოვიდა და მასთან დანარჩენნიც წამოვიდნენ ბარისაკენ. და მომღერალნი საგმიროსა ხმასა ამბობდნენ და ბანოვანნიცა მათ ქებასა შეასხამდნენ. ცისფერი დროშა ფრიალებდა მაღლა, ზედ მახვილი, რუმბი და ქალი ეხატა.

ვიდრე ოდენ ფალევნებისა ფალევნობას მოგახსენებდეთ შემდეგში, აწ მოვისმინოთ სიმღერა მათი:

სიმღერა ფალევნებისა.

საქართველოს გმირები ვართ,
ჩვენი არის ცა და მიწა,
ერთს რომ ქეჩო მოვუფხანეთ,
იქ მეორე ჩუმად მიწვა.

—

ვინ გვედგნობს, ვინ დაგვიდგება,
ვინ გაბედავს თავხედობას!
ზარბაზანი, ლახტ-ჩაჩქანი
შეამკობს ჩვენს ფალავნობას.

—

სისხლი ჩვენი წინაპრების
ისევ გვიცემს მათებრ ძარღვში
და გავწირავთ ჩვენ სიცოცხლეს
გარდმონაცემ ბაირაღში!

—

წინ გავსწიოთ ფალევნებმა,
აწ ამდგარა მონა ბარში,
ამოვწყვიტოთ, ამოვხოცოთ,
დავკრათ ბუკი, დავკრათ ტაში!

—

იქ წინაპართ იმებათ,
აქ ჩვენ ვიყვენით განცხრომაში,—
ფალავნებო, დაუარეთ,
კნეინებო, ტაში, ტაში!

—

ბელადს მივყვეთ, გავაკვირვოთ,
განვაცვიფროთ ხალხი, ერი,
ყველამ იცით განთქმულია
ჩვენი მრავალჟამიერი!

—

დღეს აქა და ხვალე იქა,
დავამარცხოთ ასე მტერი!
ყანწი, კულა, აზარფეშა,
ფალევნებო, ჰერი, ჰერი!

სიმღერა კნეინებისა.

ნიკო, ნიკო, რაზბონიკო,
შენი ჭირიმე!
უქეიფოდ მე ვსკუჩნაოფ,
მიტომ ვსტირი მე!

—

გამიცინე და მიჩვენე
მზეო, პირი მე,
ნიკო, ნიკო, ხანჯალიკო,
შენი ჭირიმე!

—

გლეხებს პური აღარ მოაქვთ,
ხედავ, მშიან მე!
ბალ-ვეჩერშიც ველარ ვივლი,
აბა, ვაგლახ მე!

—

დუხის ფული შემომაკლდა
მოდი, მომხედე,
ნიკო, ნიკო, ხანჯალიკო,
არ დამიბერდე!

—

თონეს არვინ არ გვიხურებს,
სახლსაც არა ჰგავს,
ნიკო, ნიკო, ჰქვა ასწავლე,
თორემ რასა ჰგავს?!

—

ვიღაც, ბრიყვი გლეხუკები
დღეს კნეინობენ:
„აღარ გვინდა ბატონიო"—
ასე ამბობენ!

—

გენაცვალეთ, რა დრო დადგა,
ჰქვას შესცდა ყველა,—
გუშინ ერთმა გლეხუკანმა
წინ ჩამიხველა!

—

გამიბედა, ჩემო ნიკო,
და გავბრაზდი მე!
ჰქვა ასწავლე, ხანჯალიკო,
შენი ჭირიმე!

—

შემოდგომის სეზონისთვის
კაბა მინდა მე,
აბა, რილათ შევიკერო,
შენი ჭირიმე!

—

რა გავყიდოთ? პური, ღვინო
აღარ მოაქვს გლეხს
და იძახის: „გეყო, კნიაზ,
ერთობაა დღეს"!

—

ნიკო, ნიკო, ხანჯალიკო,
შენი ჭირიმე!
მომხედევი, თორე სხვაგან
გაგექცევი მე!

—

ბავი მოხდა: იაპონელებმა განაცხადეს, პროფესორ მარტენსს ნება არა აქვს კრებას დაესწროს. ვიტტემ განაცხადა, პროფესორს მარტენს გადამწყვეტი ხმა არა აქვს და ამიტომ სულ ერთია, იქნება ის კრებაზე თუ არაო. კომურამ უპასუხა, შეიძლება ეგ თქვენთვის სულ ერთი იყოს, ჩვენთვის კი სულ ერთი არ არისო. ვიტტემ განაცხადა, თქვენც შეგიძლიანთ მარტენსის ბადლად შემოიყვანოთ ვინმეო, მაგრამ კომურამ მტკიცე უარი განაცხადა და მარტენსი კრებაზე არ შეუშვა (რ. ს.).

მანჯურიაში. ტოკიოდან „დეილი ტელეგრაფს" დეპეშით ატყობინებენ: თუმცა გენერალი ლინევიჩი განუწყვეტლივ იმეორებს, რუსეთის ჯარის მდგომარეობა მშვენიერიაო და ყველას არწმუნებს, ვითომ რუსეთის ჯარს გამარჯვების სრული იმედი აქვს, მაგრამ ნამდვილად არც ჯარს აქვს გამარჯვების იმედი და არც მისი მდგომარეობაა უხიფათო; მალე დამტკიცდება, რომ რუსებს იაპონელებმა მართლა წრე შემოავლეს. იაპონელები ლინევიჩის ზურგსაც ადვილად დაეცემიან და ორივე ფრთესაც. იაპონელებმა უკვე დაიჭირეს ამურის შესართავი და ლინევიჩსაც საფრთხე სწორედ აქედან მოელისო (რ. ვ.)

ვლადივოსტოკი. „რუსკოე სლოვოს" ვლადივოსტოკიდან დეპეშით ატყობინებენ: რადგან სიმთვრალის გამო უკანასკნელ ხანებში მრავალი ბოროტ-მოქმედება მოახდინეს აფიცრებმა და სალდათებმა, ამიტომ გენ. ყაზბეგმა კვირა-უქმეობით არყისა და ღვინის გაყიდვა აკრძალა. ლოთობა და დაუდევრობა ისე გახშირდა, რომ დღეს თუ ხვალ სულ აკრძალავენ მაგარ სასმელის გაყიდვას (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან).

პეტერბურგი, 2 აგვისტო. „სლოვო" გადმოგვცემს, რომ იუსტიციის სამინისტრო აგროვებს მასალებს, 1889 წ. გამოცემულ კანონის ძალით დაარსებულ ვოლოსტების სასამართლოებისა და სასამართლო დადგენილებათა შესახებ. როგორც ამბობენ, ამ ცოტა ხანში ადგილობრივ მოსამართლეთა ახალს ინსტიტუტს დაარსებენო.

სავაჭრო ნავოსნობის მთავარ გამგეობაში აღძრულია საკითხი, რა გვარად უზღონ ზარალი გემების პატრონთ, რომელთა სავაჭრო გემებიც იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში. ზოგიერთა გემი იაპონელებმა ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე ჩაიგდეს ხელში, რამაც ზოგიერთი გემის პატრონი სრულიად გაალარიბა.

სახალხო განათლების სამინისტროში, უნივერსიტეტის ახალ წესდებათა შესამუშავებლად შემდგარმა კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი საქმე. კომისიის აზრით: რექტორი, დეკანი და პროფესორები არჩეულ უნდა იქმნან ხოლმე.

ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობას ბევრი თხოვნები მოსდის პროვინციიდან გაზეთების უცენზუროდ გამოცემის შესახებ. გამგეობა ყველას უარს ეუბნება, რადგან ამ მოკლე ხანში ბეჭდვითი სიტყვის შესახებ ახალი კანონები გამოვაო.

კავკასიის შავი ქვის მწარმოებელნი შუამდგომლობენ, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების საბჭოში ნება ჰქონდეს და ესწროს ხოლმე შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. თხოულობენ აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში სამთო სასწავლებლის დაარსებას და ნაფიც მწონავების ინსტიტუტის შემოღებას.

* * *

ახალი ამბავი

გუშინ, 3 ივლისს, ბ. პართენ გოთუამ, რომელიც ამას წინად **სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების კრებაზე** გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად აირჩიეს, ამ თანამდებობაზე უარი განაცხადა დეპეშით, რაკი კომიტეტის ახლად არჩეულ წევრმა ი. მაჭავარიანმა უარი სთქვა კომიტეტის წევრობაზე, ამიტომ წესდების ძალით ახალი კომიტეტი ვერ შესდგა, რადგანაც მასში ოთხი წევრი მაინც უნდა იყოს. სკოლის გამგეობა ისევ ძველ კომიტეტის ხელში რჩება. როგორც გავიგეთ, ძველი კომიტეტს მთავრობასთან შუამდგომლობა აღუძრავს, რომ საზოგადოების წესდება უკანასკნელ კრების დადგენილების თანახმად შეიცვალოს, ე. ი. სასკოლო საზოგადოების წევრი უნდა იყოს ყოფილი თავად-აზნაური ტფილისის გუბერნიისა და ის, ვინც წლიურად 3 მანათ საწევრო ფულს შეიტანს და კომიტეტისაგან იქმნება არჩეული.

◆ ცხინვალიდან გვატყობინებენ, რომ იქ შესდგა „გლეხთა რაზმი", რომელსაც მიზნად აქვთ **წინააღმდეგობა გაუწიოს „თავად-აზნაურთა რაზმს"**. გლეხები დადიან სოფლებში და მემამულეებს იარაღს ართმევენ. ამ დღეებში სოფ. ტყვიავში იარაღი ჩამოართვეს ა. ი. ფავლენიშვილს, ი. ი. ნატროშვილს, თავ. მ. ლ. ერისთავს, თავ. ლ. ა. ერისთავს, ი. მ. გაბუნიას, ალ კიკნაძეს და სოფ. ერგნეთში თავ ი. ა. ხერხეულიძეს. ამავე მიზნით გლეხები აპირობდნენ თავ. ფალავანდიშვილებთან მისვლას, მაგრამ სოფ. ტირძნისიდან კაზაკებმა მიუსწრეს და მიიმალნენ.

◆ სამშაბათს, 2 აგვისტოს, **ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ივ. ზაქ. კეცხოველისა.** კეცხოველი 24 წლისაა, მღვდლის შვილი, სოფ. ტყვიავის მცხოვრები. კეცხოველს ბრალი ედება, რომ ის ჩაეწერა საიდუმლო საზოგადოებაში, რომელსაც სახელად ეწოდება: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია" და მიზნადა აქვს, დაამხოს სახელმწიფოს არსებული წესწყობილება. კეცხოველი, 1904 წელს, სოფ. ციხის-ჯვრის გლეხ-კაცობაში ავრცელებდა მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს და ურიგებდა ხალხს ხსენებულ საზოგადოების გამოცემებს. ამას გარდა, კეცხოველს გორში ჰქონდა ამ გამოცემათა საწყობი, საიდანაც იმან გადასცა რამდენიმე დასტა კ. ხომერიკს სოფ. ქარელში გასავრცელებლად. პალატას თავმჯდომარეობდა პალატის უფროსი თავმჯ. ე. რ. ზავადსკი, წევრებად იყვნენ: პალატის წევრნი ნ. ვ. სტრუვე, ი. დ. უთნელიშვილი, ი. ა. ლიზოგუბი და ე. ვ. დილევსკი. წოდებათა წარმომადგენლებად იყვნენ: ტფ. გუბერნიის მარშლის მოადგილე თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, ტფ. მაზრის მარშლის მოადგილე თავ. ა. მ. სუმბათაშვილი, ტფ. ქალაქის მოურავი ვერმიშევი და თელეთის მამასახლისი. დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი დემიდოვი. გამოწვეული იყო 7 მოწმე. კეცხოველი, როგორც მკითხველებმა იციან, დაიჭირეს ციხისჯვრის სოფლის მასწავლებლის ივანოვის დასმენით ვოსტორგოვთან... საქმე ხალხის დაუსწრებლად გაირჩა. სასამართლომ კეცხოველს ერთის წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა („ნოვ. ობოზ.").

◆ გუშინ კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოში ხალხის დასწრებით **გაირჩა საქმე სანაძისა, ნებიერიძისა და სხვათა, რომელთაც კონდიტერის ალიხანოვის მოკვლა ბრალდებათ.** დამნაშავეთ იცავდნენ ნაფიც ვექილის თანაშემწე მაჭავარიანი და ნაფიცი ვექილი ა. ი. ყანჩელი. სასამართლოს გარდაწყვეტილებას მკითხველებს ხვალ ვაცნობებთ.

◆ როგორც ხმა დადის, **ეპისკოპოსს კირიონს** გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნიშნავენ, ხოლო არქიმანდრიტ გიორგის (ალადაშვილი) —გურიის ეპისკოპოსად.

◆ „პრავო" გადმოგვცემს, **რომ ქ. ასტრახანში დაუჭერიათ იარაღით სავსე რამდენიმე ყუთი.** ყუთები კავკასიაში უნდა გამოეგზავნათ.

◆ როგორც ხაშურიდან გვატყობინებენ, 2 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ბაზარში **მოუკლავთ სტრაჟნიკი ტკაჩენკო.** ტკაჩენკო, ის იყო, გორიდან დაბრუნებული, სტრაჟნიკებისთვის ჯამაგირი მიუტანია და ბაზარში ფულს ახურდავებდა. ამ დროს მიჰპარვია ვიღაცა, თავში კეტი დაურტყამს და, როცა ტკაჩენკო წაქცეულა, წაქცეულისთვის რევოლვერი ხუთჯერ დაუხლია. ტკაჩენკო იქვე მომკვდარა. დამნაშავენი, თუმცა მთვარიანი ღამე იყო, გაქცეულან და მიმალულან. მკვლელებს მხოლოდ სტრაჟნიკის რევოლვერი წაუღიათ.

◆ „ნოვოე ობოზრენიის" თანამშრომელმა რაშიდ-ბეგ იზმაილოვმა ნამესტნიკს სთხოვა: ნება მომეცით ტფილისში თათრულს ენაზე გაზეთი გამოვცეო. **ნამესტნიკმა ეს თხოვნა არ შეიწყნარა.**

◆ თავ. ლ. ხერხეულიძის მოკვლის თაობაზე სასამართლოში მიცემული **გოროდოვოი გონჩაროვი**, რომელიც მორიგად იყო პოლიციის ნაწილში, როდესაც ინგუშმა აბას ხასჩიკმა ხერხეულიძე დასჭრა, **გაანთავისუფლეს.**

◆ 26 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლომ **სრულიად მოსპო საქმე ჟოზეფინა რუდაკოვსკისა**, რომელმაც ამას წინად მოჰკლა თავისი ქმარი—ამიერ-კავკასიის რკინის გზის საპოლიციო საჟანდარმო გამგეობის როტმისტრი ალექსი რუდაკოვსკი.

◆ თანახმად ყოფილ ეგზარხოსის ალექსის შუამდგომლობისა, უწმ. სინოდმა ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლის ყოფილ უფროსს ნადეჟდა ტროფიმოვისას ქართლ-კახეთის სამღვდელოების თანხიდან ყოველწლიურად **250 მანათი დაუნიშნა.**

◆ უწმ. სინოდმა აცნობა ეგზარხოსს, რომ ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ და პარალელურ კლასების მასწავლებლებს, თუ ვინიცობაა ეს კლასები დაიხურა, ნება აქვთ იმერეთის საეპარქიო თანხიდან მოითხოვონ **მთელი წლის ჯამაგირი,** ან იმ დრომდე იღონ ჯამაგირი, ვიდრე სხვა ადგილს იშოვნიდნენო.

◆ „ცნობ. ფურ." ბელგიიდან სწერენ: „გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ბელგიაში მყოფ ქართველ ამხანაგობას აზრადა აქვს შემწეობა გაუწიოს აქ წამომსვლელ ქართველებს; ამხანაგობა მიაწვდის ყოვეგვარ ცნობებს აქაურ უმაღლეს სასწავლებლების და ცხოვრების შესახებ და გაჭირების დროსაც ქონებრივად დაეხმარება. ქართველთა ამხანაგობა დიდის მადლობით მიიღებს ყოველგვარ დახმარებას თავის სამკითხველოსათვის. ყოველ ცნობებისთვის გთხოვთ მოგვმართოთ: „Бельгія. Bruxelles, rue Scaaron 31. Sicharoulidze".

◆ **სომეხთა საეკლესიო მამულების უმაღლესად დაბრუნების გამო,** გუშინ, 3 აგვისტოს, სომეხთა კათალიკოსმა ყველა საზღვარ გარეთელ და რუსეთის სომეხთა კოლონიებს დეპეშები დაუგზავნა.

◆ გაზეთ „ბაქოს" სიტყვით, **თავ. ნაკაშიძის მკვლელებს სამხედრო სასამართლო 16 ამ თვეს გაასამართლებს.** ბრალი ედებათ: ქ. შუშის მცხოვრებს სიონ ჟილიანცს, ქ. ბაქოს მცხოვრებს გიორგი მეირაბოვს (ბერძენია), პეტრე სალათიანცს, ლევონ არუთინოვს და მანა აკაშიანცს.

◆ იმავე გაზეთის სიტყვით, უკანასკნელ გაფიცვის გამო დათხოვნილ ხელოსანთა მაგივრად, კავკავის რკინის გზის გამგეობას სხვადასხვა გზებიდან **მოუწვევია 400 ხელოსანი.**

◆ პეტერბურგიდან „კავკაზ"-ს ატყობინებენ, ტფილისის გუბერნატორი გენერალ-მაიორი სვეჩინი დაინიშნა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საგანგებო მინდობილობათა გენერლად; ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი ვრასკი—ვოლოგოდის ოლქის სასამართლოს პროკურორად.

◆ განჯიდან გვატყობინებენ: 13 ივლისს, სოფ. ცავში (ზანგეზურის მაზრაა) სამმა უცნობმა კაცმა მოჰკლა სტრაჟნიკი და მიიმალა.

◆ კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწე **გენერალი მალამა ტფილისში დაბრუნდა.**

◆ სამშაბათს, 2 აგვისტოს. **გენერალი სტახოვიჩი თიანეთის მაზრაში გაემგზავრა.** გენერალ სტახოვიჩს თან ჯარი ახლავს.

◆ რადგანაც [illegible] სკოლისათვის შესაფერი შენობა არ აღმოჩნდა, **ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა** ეს სკოლა მესამე ან მეხუთე საპოლიციო უბანში დააარსოს.

◆ **როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ანგარიშიდანა სჩანს,** ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიას 1904 წელს ჰქონია სულ 48,481 მანათის წიგნი. მათ შორის წლის განმავლობაში დაბეჭდილა 10,486 მანათისა; გაიყიდა: მაღაზიაში—4,977 მანათისა, სხვა ქალაქებში—5,521 მან. სულ 20,545 მან. საზოგადოებას წმინდა მოგება დარჩენია 2,231 მანათი. კალენდარის გამოცემას 1,541 მანათის ზარალი მოუტანია.

◆ ჯავახეთში **დიდი სეტყვა მოსულა** და ძალიან დაუზარალებია სოფლები: ნაქალაქევი, ცუნდო, მარგასტანი, ქილდა და ქუმურთო. ყველა ამ სოფლებს 40,700 მან. ზარალი მოსვლია. ამის გამო ახალქალაქის მაზრის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე: ამ სოფლის მცხოვრებთ ფული ასესხეთ, რომ მომავალ მოსავლამდის თავი ირჩინონო.

◆ ტფილისის ფერისცვალების მონასტრიდან ვიღაცას მოუპარავს „საძმო" ყულაბა. ყულაბაში დაახლოვებით 100 მანათამდის ყოფილა. ეჭვი ერთ-ერთ მღვდელ მონაზონზე აქვთ.

◆ სადგურ კობიდან მომავალ მეეტლეს აბდულ-საჩენხარს ორი უცნობი კაცი დაეცა, სცემა და წაჰართვა ქისა, რომელშიაც სულ 1 მ. 40 კ. აღმოჩნდა.

◆ მინდორში მუშაობის დროს, ს. ქალავერტის მცხოვრებლებს: ოქრო, პავლე და გიორგი გვრიტიშვილებს ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის დროს გიორგი გვრიტიშვილმა ცულით დასჭრა პავლე, ოქრო კი მსუბუქად დაიჭრა თავში.

◆ სოფელ საცხავატლოში (დუშ. მაზ.) დიდა ბაევმა სასიკვდილოდ დასჭრა ივანე ცხარაგვა, რომელიც იმ დღესვე გარდაიცვალა.

◆ სოფელ არბოეთის (დუშ. მაზ.) მცხოვრებმა ცეკო გულიშვილმა ხანჯალით მოჰკლა მიხა მერებაშვილი.

◆ სოფელ იჯნევის (დუშ. მაზ.) მცხოვრებმა, გრიგოლი ხალიბეგაშვილმა თოფით მოჰკლა თავისი რძალი ეკატერინე ხალიბეკაშვილი.

შეცდომის გასწორება: გუშინწინდელ ნომერში ფელეტონის სათაური უნდა იყოს: **„რა არის კრიტიკა. ხელოვნურ ნაწარმოების კრიტიკა"**. გუშინდელ ნომერში წერილს „რა არის საჭირო" ბოლოში შეცდომით აკლია „ს. ო.", რომელსაც უნდა ეჩვენებინა, რომ ეს წერილი „სინ ოტეჩესტვოდან" არის გადმოღებული.

მაჰმადიანები რუსეთში.

ამ ბოლო ხანებში რუსეთის საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს არა რუსთა მდგომარეობას. ეს ყურადღება აიხსნება იმით, რომ მომავალ ძირითად ცვლილებების მოლოდინში, რუსეთის საზოგადოებას სურს გაიგოს დღეს მიმძლური სხვადასხვა ძალები და გაეცნოს თავის მომავალ თანამშრომ-

---

პაპის ხმალი დაიკიდე,
მამის ხანჯალი,
ამოწყვიტე, ამოჟლიტე,
მიჩვენე ძალი!

—

მაშინ მოდი, ჩაგიკონო
უბეში, ნიკო,
რა რიგ გშვენის შარლატნობა,
შე რაზბონიკო!

ი. ევდოშვილი.

ცხოვრება და მწერლობა სკანდინავიაში.

—

დანიასა, შვეციასა და ნორვეგიას ერთ საზოგადო სახელს—სკანდინავიას უწოდებენ, მაგრამ ეს სახელწოდება თავისთავათ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ამ სამის ქვეყნის მცხოვრებნი ერთი ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებიან.

მკვირცხლი და ენა-მჭევრი დანიელები ფრანგებს უფრო ჰგვანან, ვიდრე გულ-ჩათხრობილ და მუდამ სახე-დაღვრემილ ნორვეგიელებს. დანიელები ცხოვრობენ ვიწრო ნახევარ კუნძულსა და რამდენსამე პატარ-პატარა კუნძულებზე. მათ წარმოდგენილიც კი არა აქვთ, რა არის უზარმაზარი მთები, თვალ-უწვდენელი და ყრუ ხევხუვები—ეს პირმშო შვილნი ნორვეგიის ბუნებისა. მთელი დანია ადვილად ექვემდებარება ყოველგვარ კულტურულ ზეგავლენას და ამიტომ მია მცხოვრებთა საზოგადო ტიპი,—ასე გასინჯეთ გლეხებისაც კი,—ტიპია მოქალაქისა. ნახევარ მილიონი, ე. ი. ერთი მეოთხედი მთელის ხალხისა კოპენჰაგენში ცხოვრობს. ამას რომ სხვა ქალაქებში მცხოვრებთა რაოდენობაც მიუმატოთ, გამოვა რომ მკვიდრთა ერთი მესამედი მოქალაქენი არიან და საკვირველიც არ არის, რომ დანარჩენ თანამემამულეებზე დიდი გავლენა ჰქონდეთ. ამ ქვეყანაში თავად-აზნაურთა და გლეხთა ტიპი დღით-დღე ჰქრება და მის ადგილს მოქალაქის ტიპი იჭერს.

სულ სხვა ხასიათისანი არიან ნორვეგიელები—შვილნი იმ ქვეყნისა, რომელმაც არ იცის, რა არის თავად-აზნაურობა და რომელსაც უფრო პატარა ქალაქები აქვს, ვიდრე დანიას. საერთო ტიპი ნორვეგიელებისა—ტიპია გლეხისა. მოქალაქეთა უმრავლესობა სოფლებიდანაა გამოსული, სოფლის დიდი მოყვარულია და ამიტომ ისევ „ტეტიური" სული უდგია. იმის წყალობით, რომ ნორვეგიას ორის მხრიდან ზღვა შემოსდგომია და სიგრძე-სიგანეზე დასერილია მაღალის მთა-ბორცვებით, ნორვეგიელი იძულებულია მოსწყდეს მთელ ქვეყანას და თავისთვის განმარტოებულად იცხოვროს.

ნორვეგიის სამხრეთ და დასავლეთ მხრის მცხოვრებნი მეზღვაურნი ან მეთევზენი არიან, ხოლო მთებში მცხოვრებლები კი მხვნელ-მთესველნი და საქონლის მომშენებელნი. მეზღვაურნი და მეთევზენი მთელის თვეობით რჩებიან ხოლმე ზღვაში, ლაპარაკიც კი ავიწყდებათ. მიწად-მოქმედნიც თავისთვის განმარტოებით სცხოვრობენ და ზამთრობით, მაშინ, როდესაც თოვლისაგან გზები შეიკვრის ხოლმე—მთელი თვეობით ერთიერთმანეთს მოწყვეტილნი არიან

მკაცრმა ბუნებამ თავისი ზეგავლენა იქონია ნორვეგიელზე. იგი გულ-ჩათხრობილი, მოღუშული სახისა და კერპი ხასიათისაა.

დანიელსა და ნორვეგიელს შორის სდგას შვეციელი. შვეცია არც ისეთი მკაცრი ბუნების ქვეყანაა, როგორც ნორვეგია და არც ისეთი მინდორ-ველიანი, როგორც დანია. მდინარენი და ტბები, მთანი და ბორცვნი, მინდორი და ტყე ერთმანეთში შეზავებულა და შვეციის მკვიდრთა ხასიათის მთლიანობას ხელს უწყობს.

შვეციაში ბევრზე-ბევრია თავად-აზნაურობა, რომელიც მთელის თავისის ქვეყნის პოლიტიკას ატრიალებს. აქაურ გლეხსა, თავადსა თუ მოქალაქეს თავისი განსაკუთრებული თვისება აქვს და ამის გამო შვეციელთა ცხოვრება ძალზე განსხვავდება დანიელთა, ანუ ნორვეგიელთა ცხოვრებისაგან.

დიაღ, ამ სამს ეროვნებას, თუმცა ერთმანეთის მონათესავენი კი არიან, სხვადასხვა ხასიათი აქვს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ერთმანეთისა არა ესქით რა

როდესაც განათლებული კაცი რომელიმე უცხო ეროვნების თვისებათა შესწავლას აპირობს, ყოველთვის ეკითხება ხოლმე თავის თავს.

1) როგორ მოუწყვია ამ ხალხს თავისი ცხოვრება და 2) რა გავლენა აქვს, ან რის გაზიარება შეუძლია მას სხვა—ერისათვის, თავისის ზნეობრივის, გინა მატერიალურის ცხოვრებიდანო.

პირველ საკითხის შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ დანიელებს, ნორვეგიელებსა და შვეციელებს გვარიანად აქვს მოწყობილი თავისი ცხოვრება. მაგრამ მაინც კმაყოფილნი არ არიან ამ ცხოვრებისა და უფრო უკეთესისაკენ მიისწრაფიან. ეს უკმაყოფილება უფრო ნათლადა სჩანს ნორვეგიაში. ნორვეგიელთა პოლიტიკური ცხოვრება და განსაკუთრებით კი მწერლობა ამის უტყუარი დამამტკიცებელია. რაც შეეხება ზნეობრივ მხარეს სკანდინაველებისას, უნდა ვაღიაროთ, რომ სკანდინაველთა ლიტერატურამ, ეს ოცი წელიწადია, თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა და დიდი გავლენაცა აქვს.

მატერიალურად ყველაზე მაღლა შვეციელები დგანან, მათი ნამუშევარი გერმანიისა და ინგლისშიაც კი ჰპოულობს ბაზარს.

ჯერ ისევ მე-19-ე საუკუნის დასაწყისში დანიელებსა და შვეციელებს რამდენიმე სახელოვანი პოეტი და დრამატურგი ჰყავდათ; მაგრამ მთელ სკანდინავიაში ლიტერატურა აყვავდა და აღორძინდა ამ 25 წლის წინად. მაშინ ტეტიურ ნორვეგიამიაც გაისმა მკვეთრი ხმა დიდებულის იბსენისა და ბერნსტერნ-ბერნსონისა. გერმანიამ და მას შემდეგ მთელმა ევროპამ ყური დაუგდო მათ მკვახე, ნაღვლიანსა და ჰკვიანურს სიტყვებს. ამავე დროს სკანდინავიის სხვა სახელმწიფოებშიაც გამოვიდა რამდენიმე რომანისტი, რომელთაც, აგერ ოცი წელიწადია, გულდასმითა კითხულობს ევროპა და ამერიკა.

ამ სამმა პატარა ერმა მსოფლიო ლიტერატურაში ერთი პირველ ადგილთაგანი დაიკავა. როგორ მოხდა ეს?

პირველ ყოვლისა სკანდინავიის მწერლებმა ზედმიწევნით შეისწავლეს თავისი ქვეყანა, თავისი ხალხი, მისი ზნე და ჩვეულება. მერე კი ისე განავითარეს მოთხრობების ტეხნიკური მხარე, რომ არც ერთი აღწერა ისეთს სრულს სურათს ვერ დაგიხატავთ, როგორსაც ხატავენ სკანდინაველი მწერლები. მერე რას არ ეხება მათი კალამი? ტყე და ველი, მთა და ბარი, გლეხი და ბატონი, სოფლის დუქნებში მოქეიფე ძმა-ბიჭები და სტოკჰოლმისა, ქრისტიანიისა და კოპენჰაგენის მდიდრულ რესტორანებში მოსიარულე სოვდაგრები—ყველა დიადის ხელოვნებითა აქვთ აწერილი. მარტო ზერელად კი არა. არა, ამ ნაწერებში გამოკრთის მათი სული და გული, მათი აზრი და შეხედულება ცხოვრებასა, წარსულსა და აწმყოზე.

როგორია საერთო ჰანგი სკანდინაველ მწერლებისა?

დანიელების პოეზია მშვიდი, მშვენიერი, ცხოველ-მყოფელის ძალითაა განათებული, მაგრამ ღრმა კი არ არის. დანიელების ყველაზე უფრო შესანიშნავი პოეტი პოლუდან-მილლერი იყო. მისი პოემა „კაცი-ადამიანი" დანიის ლიტერატურაში უპირველესი ნაწარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ადგილას გესლნარევი დაცინვა გამოკრთის, „კაცი-ადამიანი" მილლერისა დიდებული, სიცოცხლითა და მშვიდის პოეზიით სავსე პოემაა. ასე თუ ისე, არიან სხვა დანიელ მწერალთა ნაწარმოებნიც. თვით სახე, სურათი დანიელ პოეტთა აღსავსეა იმ სიმშვიდითა და სიტკბოებით, რომელიც მათ ნაწარმოებში გამოჰკრთის. სახეები გეიბერგისა, ინგემანისა და ანდერსენისა, მხიარული თუ არა, შნოიანები მაინც არიან.

აბა, ახლა დახედეთ ნორვეგიელთა აზრის მეთაურების, იბსენისა და ბერნსონის, სახეებს! გეგონებათ ვეფხვებიაო. მთელი ის უკმეხობა ბუნებისა, რაც ნორვეგიის მიწა-წყლის შესახებ გაგვიგონია, მათ სახეზე აღბეჭდილა. დაღვრემილი, წარბ-შეკრული იბსენი—შვილი მოქალაქე პასტორისა—გულ-ჩახვეულ მქადაგებელს ან პროფესორს უფრო ჰგავს, ვიდრე პოეტს. მხიარულის სახისა არც ბერნსონია—შვილი სოფლის მღვდლისა—იგი ბრაზიან სოფლის მასწავლებელს უფრო ჰგავს ვიდრე პოეტს.

მაგრამ დიდებული პოეტები კი არიან! მათი თხზულება ატყვევებს ევროპიელ მკითხველებს, და მხოლოდ სკანდინავიის ბუნება და ცხოვრება თუ შექმნიდა ასეთს ნაწარმოებს. ქართველს შეუძლიან გაითვალისწინოს ის ბრძოლა ცხოვრებასთან, რომელიც აღძრულია ამ მწერალთა თხზულებებში, მაგრამ ისეთი მედგარი, თანდათანობითი და თავგამოდებული ბრძოლა-კი ცხოვრებასთან არ შეუძლია.

ზევითა ვსთქვით, რომ ნორვეგიელები არ არიან კმაყოფილნი არც თვის თავისა და არც ცხოვრებისა-მეთქი, და ეს მართლაც ასეა. მათ უდგიათ სული გლეხისა, ატყვიათ აღმოუფხვრელი ბეჭედი ტეტიაობისა, ამასთანავე მიღებული აქვთ უმაღლესი „მესჩანური" კულტურა, რომელსაც ვერ მორევიან. ამ კულტურის მეოხებით მათ უნდათ დაიპყრონ ცხოვრება, მაგრამ ცხოვრება, ე. ი. მათი შთამომავლობითი გარდმონაცემი კერპი ხასიათი, უფრო ძლიერია, ვიდრე ეს კულტურა და ამიტომ ცხოვრება მათ არ ემორჩილება. ნორვეგიელთა რომანებში ათასობით არის აღნიშნული ცხოვრებისა და კულტურის შორის არსებულ წინააღმდეგობის მაგალითები. აი, ერთი მათგანი: მდიდარი გლეხის შვილი შედის უნივერსიტეტში, ამთავრებს სწავლას, გამოდის იურისტად, ჩინოვნიკდება. იგი სცხოვრობს სატახტო ქალაქში. სამსახურმა სრულიად მოსწყვიტა იგი სოფელს, შეათვისა მესჩანურ ცხოვრებას. მას აღარ მოსწონს ბრიყვი, გაუთლელი გლეხი, ეჯავრება კიდეც; მაგრამ მის სულსა და გულში დასადგურებულა იგივე ტეტიური მიდრეკილება, თვით იგი იმდენად მოუხეშავი, გულჩათხრობილი და ზანტია, რომ არ შეუძლიან ახალ ტანისამოსთან ერთად, ახალი სული და გული ჩაიდგას.

ცხოვრებამ გაასწრო ნორვეგიელებს, იგი ფრიად კულტურული შეიქმნა, მხოლოდ ნორვეგიელი ისეთივე გლეხუკა დარჩა, როგორიც იყო მისი მამა-პაპა. მის სულს არ შეუძლია მოეწიოს კულტურის გზაზე დაქანებულ ცხოვრებას.

გადავიდეთ ახლა შვეციაში. ეს ქვეყანა მთათა და კორდთა, ქვეყანა დაფენილა მდინარეებითა და ტბებით, ველითა და მინდორითა და ბევრით განსხვავდება პირქუშ ნორვეგიისაგან. მისი დედაქალაქი სტოკჰოლმი—ჩრდილო ვენეციად იწოდება, გარდა მდიდარის სოფლებისა. ცხოვრება სდუღს მის ქალაქებშიც, რომელთა სამი უნივერსიტეტი განათლებასა ჰფენს მთელ მხარეს, ხოლო დაუღალავი შრომა და ცოდნა მცხოვრებლებთა აღორძინებს დიდ მრეწველობას. ამ ცოცხალს ქვეყანაში ყველა კმაყოფილია თავისის ცხოვრებით, ყველა მოღიღინე, მხიარულია. შვეციელები ისეთი პირქუშები არ არიან, როგორც ნორვეგიელები: უყვართ სიცოცხლე და კოხტაობა, მოსწონთ აზრიანი გასართობები. მართალია ძვალ-მსხვილი და ახოვანნი არიან, მაგრამ სიმარდეც მოსდევთ, ხოლო მათი ქალები ხომ კეკლუცებადაც კი ჩაითვლებიან.

საკვირველი აღარ არის, რომ მათი ლიტერატურაც ცოცხალი და მკვირცხლია. მათს პოეზიაში პირველ ყოვლისა იხატება თავ-განწირული სიყვარული სამშობლოსადმი, მის ბუნებისადმი. შვეციის ბევრი პოეტთაგანი მარტო პოეტი არ არის, იგი აღფრთოვანებული მომღერალიცაა, რომლის სიმღერებიც მთელ მხარეს ეფინება. ამ სიმღერებში ქება-დიდებით იხსენება შვეცია, სიყვარული, ღვინო და ქალები. მაშასადამე შვეციელების პოეზია მარტოოდენ აზრის პოეზია არა ყოფილა, იგი პოეზიაა აგრეთივე გულისა, გრძნობისა, გატაცებისა. ეს პოეზია ხელოვნების უმაღლესს ხარისხამდე აღწევს, ვინაიდან ხელოვნება ბუნდოვანი, ან უიმედო არ უნდა იყოს. ხელოვნება, მასაზრდოებელი, სულია ცხოვრებისა და, თუ იგი არ ათბობს, არ აიმედებს გულს, მაშინ ხელოვნება აღარ დაერქმევა.

შვეციას მართლაც რომ აქვს ეს ცხოველ-მყოფელი ხელოვნება. მის პოეტთა რიცხვი მრავალია და მათ შორის თვალსაჩინო ადგილი თვით მეფე ოსკარს უჭირავს. შვეციაში დიდად განვითარებულია აგრეთვე დრამატიული ხელოვნება, გალობა, სიმღერა. შვეციელებმა ამ ბოლო დროს მხატვრობაშიაც მოიხვეჭეს საპატიო სახელი და მის მხატვართა ნახატები ბერლინისა, პარიზისა, მიუნხენისა და რომის სამხატვრო გამოფენებზე ძრიელ ხშირად შეგხვდებათ.

როგორც პოეზიაში, ისე მოთხრობებშიც გამოკრთის სიყვარული სამშობლოსადმი და, თუმცა იბსენის ზეგავლენით ბევრი შვეციელი მწერალი გაეხვია პესიმიზმის ბურუსში, მაგრამ, საერთოდ, შვეციის ლიტერატურა ცხოველ-მყოფელი და მხიარულია. შვეციის ბელეტრისტთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინოა გუსტავ გეიერშტამი—ეს დიადი მოტრფიალე და მეგობარი ბუნებისა.

დიახ, სკანდინაველებში დიდადაა განვითარებული სიყვარული ბუნებისადმი, მაგრამ მუდამ ნისლით დაბურული სამშობლო მათი სავსებით ვერ აკმაყოფილებს ამ სიყვარულს. ამიტომაცაა, რომ სკანდინავიის პოეტ-მწერალ-მხატვრები ხშირადა სტოვებენ ხოლმე თავისს სამშობლოს და მიდიან სამხრეთით, ნამეტნავად გერმანიას საფრანგეთსა და იტალიაში რომ იქ დასტკბენ მზის მხერით, დიადისა და მხიარულის ბუნების ყურებით.

არტურ ლეისტი.

ლებს საერთო სახელმწიფო საქმეთა მართვასა და გამგეობაში.

განსაკუთრებულად გამწვავდა საკითხი მომავალ საკანონმდებლო კრებულში არა-რუსთა წარმომადგენლობის შესახებ.

რუსეთის საზოგადოებამ უარჰყო ბიუროკრატიის გამარუსებელი პოლიტიკა...

რუსეთის საზოგადოება აღიარებს თავის შეცდომას, რომ დღემდის არა-რუსთა მდგომარეობას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, რომ ნაკლებად იკვლევდა მათ საჭიროებას და რომ ყველგან აბატონებდა გახრწნილ ჩინოვნიკების თვითნებობას.

ახლაც აქა-იქ ზოგიერთ გაზეთში იბეჭდება წერილები იმის შესახებ, ვითომც არა-რუსები სეპარატისტობდნენ, რუსეთისაგან განშორებას აპირობდნენ, ანარქისტობის დამყარებასაც სცდილობდნენ... მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ პროტესტს, გადამტერებას, სამაგიეროს გადახდის სურვილს იწვევს ხოლმე ადამიანის უუფლებობა, ადამიანის პიროვნების შელახვა...

რუსის საზოგადოება დღემდის იმ ეროვნებათა მისწრაფებებს უფრო ყურადღებას აქცევდა, რომელიც მეტ აღელვებას იჩენდა, უფრო მედგრად იდგა თავის ეროვნულ მოთხოვნილებებზე და უფრო მტკიცედ იცავდა თავის ეროვნულ უფლებებს,—პოლონელებს, ურიებს, სომხებს და ქართველებსაც... მაგრამ დღემდის თითქმის უყურადღებოდ რჩება რუსეთის ის ნაწილი, რომელიც რიცხვით ყველა ზემოხსენებულ ეროვნებას აღემატება... რუსეთის მაჰმადიანები...

რამდენია ამჟამად მაჰმადიანი რუსეთში, ჯერ დანამდვილებით არ არის დათვლილი. 1897 წ. აღწერა თითქმის 14 მილიონამდე ანგარიშობს, მაგრამ ეს ნამეტანი ცოტაა. მეორეს მხრივ-კი გადამეტებულია. თვით მაჰმადიანების სიტყვით,—25 მილიონი ვართ რუსეთშიო. ნამდვილად კი ასე 18—20 მილიონი უნდა იყოს.

ეს რიცხვი უყურადღებოდ დასატოვებელი როდია!

რუსეთზე მეტი მაჰმადიანი ინგლისშია (80 მილიონი), ჩინეთში (35 მილიონი), ჰოლანდიაში (40 მილიონი) და საფრანგეთში (20 მილიონი).

მაგრამ იქ მაჰმადიანები ახალშენებში თუ სცხოვრობენ, რუსეთის მაჰმადიანები თვით რუსეთშივე სცხოვრობენ. რუსეთის მაჰმადიანები რუსეთის სხვადასხვა კუთხეში არიან დასახლებულნი,—პოლონეთში (ლიტვის თათრები), ყირიმში, კავკასიაში, ციმბირსა და შუა აზიაში, ურალსა და ვოლგასპირადაც...

რუსეთის მაჰმადიანებს, სარწმუნოების გარდა, აერთებს ეროვნული ერთობაც—ყირგიზები, თათრები და ადერბეიჯანლები ერთისა და იმავე ტომისანი არიან, ყველანი ერთისა და იმავე სამშობლოდან,—თურქესტანიდან გამოსულნი არიან.

ეროვნულად დანათესავებულნი არ არიან მათთან მხოლოდ კავკასიის მთებში მცხოვრები მაჰმადიანები, რომელთაც დანარჩენებთან მხოლოდ სარწმუნოებრივი ერთობა ჰქონიათ ყოველთვის.

პირველ შეხედვით, ეგონება ადამიანს, რომ ეროვნული ნათესაობა, საერთო სარწმუნოება, საერთო ენა, საერთო ზნე-ჩვეულება,—რუსეთში გაბატონებულ ძალმომრეობის საერთო უღელი,—ყველა ამ პირობას მაჰმადიანები ერთ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულად უნდა ექცია, როგორც არიან ამჟამად, მაგ., ურიები ან პოლონელები. მაგრამ ნამდვილად დღეს კიდევ მაჰმადიანები შეუკავშირებელი რჩებიან, ყოვლივე საპოლიტიკო მოქმედებას მოკლებულნი, უძრავნი. მაჰმადიანებს რუსეთში არასოდეს არ რგებიათ ძლიერი საპოლიტიკო გავლენა, მაჰმადიანებს არასოდეს არ წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილება, მაჰმადიანები არ იბრძოდნენ და მხოლოდ გახზე გაჩერებულნი დღიურ ლუკმა პურის შოვნაში ატარებდნენ დროებას... თვით ის სურვილები, რომელიც აქა-იქ გამოუთქვამს მაჰმადიანებს, ყოვლივე საპოლიტიკო ნიადაგს მოკლებული ყოფილა...

ამის მიზეზი ის არის, რომ მაჰმადიანთა უმეტესობა დღეს კიდევ, საუბედუროდ, მოკლებულია კულტურულ განვითარებას, მეორეს მხრივ კი მაჰმადიანებს აჩერებს მათი სარწმუნოება, რომელიც მათ მოთმინებას უქადაგებს...

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაჰმადიანებს მხოლოდ ორი გაზეთი აქვთ და წიგნების გამოცემა ხომ კიდევ უარეს მდგომარეობაშია ამჟამად...

აქვე უნდა აღნიშნოს ადამიანმა რომ ჩვენ დროს მაჰმადიანებში მეტად სცდილობენ ზოგიერთები ხალხში სწავლა-განათლების სურვილი აღძრან და გაავრცელონ. გიმნაზიების მოწყობა, ახალ გაზეთების დაარსება,—აი ეს შეიქმნა მოწინავე მაჰმადიანების მიზანი. უმაღლეს სასულიერო სასწავლებლების მოწაფეებიც ძველებურ სხოლასტიკის მაგიერ საზოგადო ევროპიულ ცოდნას და განათლებას ითხოვენ.

მაჰმადიანები დღემდის განზე იდგნენ, განცალკევებით სცხოვრობდნენ. მათში არ იყო არც სარევოლუციო მისწრაფება, არც სოციალისტური პროპაგანდა არც საამისო იდეალები...

ის განმახლებელი მოძრაობა, რომელიც ამჟამად მთელ რუსეთს მოედო, რუსეთის მაჰმადიანებსაც არ ასცდება და აქ დიდ ნაყოფსაც გამოიღებს უთუოდ... მაჰმადიანები შეითვისებენ ევროპაში უკვე ფეხმოკიდებულ იდეალებს და საერთო საკულტურო განვითარებაში თავის წვლილს შეიტანენ შემდეგში.

მაჰმადიანების გამოფხიზლებას არ მოჰყვება პანისლამიზმი. პანისლამიზმი მოგონილი რამეა, სხვისი დასაშინებელი,—მოგონილი რეაქციის მომხრე ელემენტებისაგან იმისათვის, რომ შეაფერხონ მაჰმადიანების გამოფხიზლება. პანისლამიზმი შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც გაბატონებულია ძალმომრეობა.

ევროპა საზოგადოდ არაფრად აფასებს იმას, რაც ევროპიდან გადასული არ არის. ევროპას ელანდება რაღაც ხიფათი ჩინეთსა და იაპონიაში—ეს ყვითელი საფრთხე არისო, ელანდება ხიფათი მაჰმადიანებშიც,—აქ პანისლამიზმის სიფრთხემ იჩინა თავიო. ევროპას ავიწყდებოდა, რომ ეს სიფრთხე ჩნდებოდა იქ, სადაც გაუმაძღარ ევროპიელს შეჰქონდა თავისი თვითნებობა, ძალმომრეობა, ადგილობრივ ელემენტების დამონება და გაყვლეფა.

პანისლამიზმი ჯერ არ არის რუსეთში და არც იქმნება, თუ მაჰმადიანების დაჩაგვრა მოისპო.

რუსებმა ამჟამად უკვე შეიგნეს, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებლად საჭიროა თანასწორობა და სამართლიანი წესწყობილება, და ეს პრინციპები უთუოდ უნდა დამყარდეს რუსეთში. (ს. ვ.).

ვასან-გირეი ჯაბაგი.

რუსეთი

◆ ლუბანას, ქალაქის ბაღში სეირნობის დროს, უცნობმა **რევოლვერით მოჰკლა პოლიცმეისტერი სემიონოვი** და მიიმალა (რ. ს.).

◆ კიშინოვში სამი ტყვიით **სასიკვდილოდ დასჭრეს** ბოქაული სოლოვკინი. მკვლელნი უგზო-უკვლოდ მიიმალნენ (რ. ს.)

◆ 19 ივლისს სენატორმა სოლსკიმ ინახულა ცნობილი მოღვაწე, მოსკოვის საერობო კამგეობის თავმჯდომარე, გოლოვინი და გააფრთხილა, აგიტაციის მოხდენა და **ხალხის აღლვება სახიფათოაო**; ჯერ მოიცადეთ, ომი გათავდეს და მთავრობა რეფორმებს მოახდენსო. გოლოვინმა პოლიციის მინისტრი ტრეპოვიც ინახულა და შესჩივლა, მოსკოვის პოლიცია თავხედად მოქმედებს და საერობო მოღვაწეთა კრების ოქმები წაართვაო. ტრეპოვი პოლიციას წაესარჩლა და ის აზრი გამოსთქვა, რომ პოლიციას სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო, რადგან კრება სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ მიდიოდაო. როგორც გამოირკვა, კრებაში მონაწილეობის მიმღებთ სამართალში მისცემენ (პ.).

◆ ნაფიცი ვექილი ნოსარი, ინჟენერი რაიტმანი, პედაგოგი ლუჩინინი და რიაზანის რკინის გზის იურისტკონსული დეპლანსონი ჩრდილოეთ გუბერნიებში **გადაასახლეს** (პ.).

◆ ეკატერინოსლავის ქალაქის საბჭოს წევრი, ცნობილი მოღვაწე ალექსანდროვი და ნაფიცი ვექილი კუპერნიკი **მთავრობამ სამართალში მისცა** იმის გამო, რომ ისინი ვექილთა კავშირში ირიცხებოდნენ (პ.).

◆ სარატოვის სასულიერო კონსისტორიასა და პოლიციის სამმართველოს, თურმე, დღეს **არაფერი სცოდნიათ** 17 მაისის უკაზის შესახებ (სარწმუნოების თავისუფლებაზე) და ახლაც უკვე გაუქმებულ კანონებით ხელმძღვანელობენ (პრ. კრ.).

◆ ოდესის საბჭოს ხმოსნები და იქაურ მრეწველთა წარმომადგენელნი პეტერბურგს წავიდნენ იმის სათხოვნელად, რომ ოდესაში **სამხედრო წესები** მოსპონ (რ.).

◆ ორლოვის გუბერნატორმა ქალაქ ბრიანსკს 2 საპოლიციო ნაწილი და 2 ბოქაული მოუმატა საბჭოს დაუკითხავად და ხარჯი, რასაკვირველია, ქალაქს დააკისრა. საბჭომ ეს საქმე განიხილა და დაადგინა: რადგან ჩვენს ქალაქში ისედაც **მეტია პოლიცია** და რადგან ახალი ბოქაულები ჩვენ დაუკითხავად დანიშნეს, ჩვენ უარს ვაცხადებთ ახალ პოლიციის შესანახად საჭირო ხარჯის გაღებაზეო (რ. ს.).

◆ ყირიმის საგუბერნიო ერობამ შინაგან საქმეთა მინისტრს სთხოვა, ყირიმის გუბერნიაში **გაძლიერებულ დაცვის წესი** მოსპეთო. მინისტრმა უპასუხა, სანამ არ დამშვიდდებით, მინამდის იქნება გაძლიერებულ დაცვის წესიო (ც. ვ.).

◆ განსვენებულ მინისტრის პლევეს შვილმა განიზრახა პასუხისგებაში მისცეს იმ გაზეთების რედაქტორები, რომელნიც მეტად ჰკიცხავენ იმის მამას. ამის გამო პლევეს შვილს შემდეგ პასუხს აძლევს გაზეთი „ზაბაიკალიე“: „140 მილიონმა ადამიანმა მშვენივრად დაახასიათა და დააფასა თქვენი მამა. ჩვენ საკუთარ მხრებით ვატარეთ პლევეს უგუნური და მძიმე რეჟიმი, რომელმაც დღეს სისხლის გუბეში გვაბანავა, და აღშფოთებით ვიგონებთ იმ უზურპატორის სახელს, რომელმაც თავის თავს სამართლიანად უფროსი პოლიციელი უწოდა. მალიუტა სკურატოვი პლევეზე გაცილებით პატიოსანი იყო: ის მხოლოდ დაბრმავებული იარაღი იყო იოანე მრისხანესი, **პლევე კი განუსაზღვრელი ბატონი იყო რუსეთის ერისა.** გირჩევთ, ბ-ნო ახალგაზდა პლევე, ჩივილის მაგიერ მთავრობას სთხოვოთ, რომ გვარის გამოცვლის ნებართვა მოგცენო (პ.).

◆ მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით, სარატოვის სანიტარული საზოგადოება **მოისპო.** კომიტეტის დადგენილება უმაღლესად იქმნა დამტკიცებული (პ.).

◆ მოსკოვის **პოლიციამ ბრძანება მიიღო:** სხვადასხვა პროფესიონალურ კავშირებს შეკრების ნება არ მისცეთ. ყველაზე მეტად თვალყური ადევნეთ კავშირთა კავშირს, რომელიც ამ ახლო ხანს აპირობს შეკრებასო (პ.).

◆ სარატოვის გუბერნატორმა **გააუქმა** საერო მასწავლებელთა ურთი-ერთ დამხმარე საზოგადოება (ს. ლ.).

◆ პოლონელ მემამულეებს ვარშავაში კრების მოხდენა უნდოდათ, მაგრამ, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, პოლიციამ **შეკრების ნება არ მისცა** (პ.).

◆ პეტერბურგში სრულიად რუსეთის ბებიებისა და გინეკოლოგების კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ მთავრობის განკარგულებით კრება არ შესდგა (პ. ვ.).

◆ პოლტავის გუბერნიაში, ადმინისტრაციის განკარგულებით **დაიკეტა** ანდრეევის საერობო სამეურნეო სასწავლებელი, მასწავლებლები სამსახურიდან დაითხოვეს (პ.).

◆ **პრესის თავისუფლება.** „სამარ. გაზ.“-ში სწერია: „რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო დასასრული წერილისა—მეურნეთა კავშირი ჩრდილოეთ იტალიაში“—არ დაიბეჭდება (ს. გ.).

◆ გაზეთი „სევერნი კრაი“ აცხადებს: „**რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** იაროსლავის თავად-აზნაურთა არაჩვეულებრივ კრების დადგენილება ვერ იბეჭდება“ (ს. კ.).

◆ გაზეთ „ვესტ. ნოვ. ზემსტვას“ მე-13 ნომერი **რედაქციისგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო** არ გამოვიდა (პ.).

◆ ჟურნალ „რუსკაია სტარინას“ უკანასკნელი ნომერი **რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** დაგვიანდა (რ. ს.).

◆ „სიბირსკი ლისტოკ“-ის ერთ-ერთ ნომერში სწერია: „ჩვენ ორიოდე წერილის დაბეჭდვას ვაპირობდით ციმბირში ერობის შემოღების შესახებ, მაგრამ **რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** ვერ დავბეჭდეთ“ (ს. ლ.).

◆ „კიევ. ოტკლიკ“-ში სწერია: „ჩვენ გვინდოდა დაგვებეჭდა ის მიზეზები, რომლის გამო ებრაელთა საავადმყოფოს ყველა ექიმებმა და ფერშლებმა სამსახურს თავი დაანებეს, მაგრამ **რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** ვერა ვბეჭდავთ (პ.).

◆ 9 ივლისს მაკარიაში ახალგაზდა ვაჟებმა და ქალებმა დემონსტრაცია მოახდინეს. ხალხი წყნარად ქუჩაში მიდიოდა, უცებ წინ დონის კაზაკები გამოჩნდნენ, ყვირილითა და ყიჟინით ცხენდაცხენ ხალხს დაერივნენ, ხმლები იშიშვლეს და, ვისაც კი მოასწრეს, სულ თავზედი აწყვეტინეს: ზოგს თავი გაუჩეხეს, ზოგს უწყალოდ სცემეს, ზოგი მთლად დაასახიჩრეს. უიარაღო ხალხი გაიქცა, მაგრამ ყველგან წინდაწინ დამზადებული კაზაკები დახვდნენ. ხალხის ცემა-ტყეპამ და ჟლეტამ ერთ საათზე მეტს გასტანა. მერე, როცა ყველაფერი გათავდა, კაზაკები ისევ შეიკრიბნენ, **სიმღერა დასძახეს** და შინისკენ გაემართნენ (ნ. ღ.).

◆ 11 ივლისს მაკარიაში დაასაფლავეს ორი მოკლული მუშა. **დასაფლავებას 15,000 კაცი დაესწრო.** პოლიცია არსად სჩანდა. სასაფლაოზე სამი საათის განმავლობაში სარევოლუციო სიტყვებს ამბობდნენ. მერე ამოდენა ხალხი დაიძრა, მარსელიეზა დასძახა და დემონსტრაციის შემდეგ დაიშალა (პ.).

◆ პეტერბურგში რუსიანოვის ქარხანაში „უცნობებმა“ გააუპატიურეს ერთი მომუშავე ქალი. ცოტა ხნის შემდეგ ბოქაულიც მოვიდა და გულწასული ქალი საავადმყოფოში გაგზავნა. **ბოქაულმა ოქმის შედგენაზე უარი სთქვა,** თუმცა რამდენიმე დედაკაცმა განაცხადა, ჩვენ ყველაფერი ვნახეთ და კარგად ვიცნობთ ბოროტმოქმედთაო (პ.).

◆ ფინლიანდიის სასამართლომ პოლიციელ პიუოეს სამი თვით დაპატიმრება და 200 მარკით დაჯარიმება გადაუწყვიტა იმისთვის, რომ პიუოემ თავის ნებით და უკანონოთ დააპატიმრა ვაჭარი როსლუნდი. როსლუნდს პოლიციაში ხეპრულად მოჰქცევიან პოლიციელები. სასამართლომ ეს პოლიციელებიც ას-ას მარკით დააჯარიმა (პ.).

კორესპონდენცია

დ. ახალ-სენაკი. ხალხის საერთო სურვილსა და მოთხოვნილებებს, ამ უკანასკნელ დროს, ჩვენი ხალხის „მამებიც“ შეუერთდნენ... მათაც ამჟამად აღიმაღლეს ხმა დასანგრევად ბეჟთა ჯოჯოხეთისათა და, თავის მხრივ, ხელს უწყობენ ყოვლგვარ კეთილ საქმეს...

„ტბა აიმღვრა და ცხვრების ნაძირალები მოიტივტივა“... აქა-იქ სოფლებში მოდარაჯეები საზიზღარს მეველეობას ახდენენ და ძარცვა-გლეჯას ახშირებენ. ყველაფერს ამას კერძო ინტერესებზე ამყარებენ... როცა პირველად ესმის ეს ხალხს, გული უტყდება: ამ დროს ეს არ შემვენისო, ამბობს.—მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ მას მომავლის იმედი ეკარგებოდეს. პირიქით, ის აორკეცებს გონებითსა და პრაქტიკულს ვარჯიშობას და სურს, გულით ნატრულობს, რაც შეიძლება ადრე მოხდეს მოსახდენი...

ხალხი ხშირად იკრიბება სოფლებსა და დაბებში თავის ჭირ-ვარმებზე მოსალაპარაკებლად. მას ხელს ვერ უშლის ვერც სამხედრო წესები, ვერც კაზაკთა და პლასტუნების რაზმები.

ამ დღეებში დ. ახალ-სენაკში შეიკრიბნენ ნოქრები თავიანთ საჭიროებათა შესახებ მოსალაპარაკებლად... მათი მდგომარეობა, ამ უკანასკნელ დროში მაინც, აუტანელი გახდა. კრებაზე ნოქრებმა შემდეგი მოთხოვნილებები შეიმუშავეს:

კვირა-უქმე დღეებში, სახელმწიფო დღესასწაულთა გარდა, სრული დასვენება.

სამუშაო დღის შემცირება: დუქნები და მაღაზიები უნდა იღებოდეს დილის 8 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 8 საათზე; სადილის დროს დასვენება—ორის საათით.

ჯამაგირის მომატება (უნდა მოუმატონ ნოქარს თვიურად ჯამაგირის ნახევარი); ბინა-სადგომების გაუმჯობესება ჰიგიენურად და სანიტარულად; ავადმყოფობის დროს სრულის ჯამაგირის მიცემა ორის თვის განმავლობაში; ერთის თვით წინ გამოცხადება სამსახურიდან დათხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთის თვის ჯამაგირის შენარჩუნება; ნოქართათვის სამკითხველოს დაარსება; 14 წლისაზე ნაკლებ ყმაწვილების სამსახურში მიღების აკრძალვა და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა არა უგვიანეს 3 თვისა; აღებ-მიცემა შეუვაჭრებლად; მყიდველთა შეპატიჟება-შეწვევის მოსპობა; აგრეთვე აღებისა და საზოგადოებისაგან ზრდილობიანი მოპყრობა ნოქრებისადმი.

ამ მოთხოვნილებებში, ჯერ-ჯერობით, მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში დუქნებისა და მაღაზიების კეტვა შეიძლეს...

ათავრენი მ.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან

3 აგვისტო.

ოდესსა.—იაპონიაში ტყვედ წაყვანილი პორტ-არტურის მცველები გენერლები ფოკი, სმირნოვი და სხვები, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მალე განთავისუფლებულნი იქმნებიან და ოდესისაკენ წამოვლენ.

პორტსმუტი.—ფიქრობენ, რომ რუსები და იაპონელები მხოლოდ ორ მუხლის შესახებ ვერ შეთანხმდებიან. ამ შემთხვევაში ყველასათვის ცხადი იქმნება, თუ ვინ არის პასუხის-მგებელი, თუ შეთანხმება ვერ მოხდა. ეს ფაქტი იმედს იძლევა, რომ კონფერენცია კეთილად დასრულდება. სანამ მეოთხე მუხლს განიხილავდნენ, ხელი მოაწერეს ოქმებს პირველ სამ მუხლის შესახებ, დანარჩენი თორმეტი მუხლი ვაშინგტონის მომავალ ხელშეკრულებას საფუძვლად დაედება. საღამოს სხდომაზე დღეს მეექვსე მუხლი განიხილეს, რომლის შესახებაც შეთანხმდნენ. პორტ-არტურში კერძო და სახაზინო საკუთრების შესახები საკითხი ზავის ჩამოგდების შემდეგ განსაკუთრებულ კომისიისაგან იქმნება განხილული. თანდათან მეტი იმედია, რომ მშვიდობიანობა მართლა ჩამოვარდება,

ბერლინი. გაზეთ „კელნიშე ცეიტუნგში“ ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი, მეფე ედუარდი ინგლისიდან ისე წავიდა, რომ გერმანიის მეფის ნახვის სურვილი არ გამოუთქვამსო. როგორც ეტყობა, ისინი ერთმანეთს არ შეხვდებიანო და ინგლისის გაზეთებსაც არ სცოდნიათ საქმის ნამდვილი ვითარება. ინგლისს პირველს უნდა მოესურვა დაახლოვება და რაკი ეს სურვილი არ გამოუთქვამს, გერმანია აცხადებს,—ძალით ინგლისის დამეგობრება არ მინდაო.

პეტერბურგი. პროკოპეს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

პიატიგორსკი. გუშინ სადგურზე „მინერალნია ვოდი“ რკინის გზის მუშებმა და მემანქანეებმა მუშაობა ხელახლად დაიწყეს.

კილი, ინგლისის მეფე მოვიდა, ხალხი მას დიდის აღტაცებით მიეგება.

სტამბოლი. სმისხაში სომხების დიდი შეთქმულება აღმოაჩინეს. სომხებთან 80 დიდი და 48 პატარა ყუმბარა ნახეს.

პეტერბურგი. „ნოვოე ვრემია“ იუწყება: სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო რჩევას, როგორც გავიგეთ, ისეთივე ურთიერთი დამოკიდებულება ექმნებათ, როგორც ქვემო და ზემო-პალატებს პარლამენტალურ რეჟიმში. სახელმწიფო საბჭოს ფართო მოქმედობის უფლება მიენიჭება და საკანონმდებლო ინიციატივაც,—შეუძლიან შეეკითხოს ყველა მინისტრებს და განიხილოს ყოველი ხარჯთ-აღრიცხვა, მათ შორის სამხედროც. სახელმწიფო საბჭოს დაარსებას, უეჭველია, სახელმწიფო რჩევის არსებობის კანონის გადასინჯვა მოჰყვება, რომ მისი მოქმედება და უფლებანი საბჭოს მოქმედებასა და უფლებას შეუთანხმდეს, ეხლა სახელმწიფო საბჭო, მაგალითად, არ ეხება სამხედრო ხარჯთ-აღრიცხვას, საბჭოს კი ეს უფლებაც ექმნება. საბჭოს მინდობილი ექმნება საშინაო წესწყობილების დებულება შეიმუშაოს. სახელმწიფო საბჭოში ყოველ კლასის წარმომადგენელნი მოჰყვებიან. არჩევნები ცალცალკე უნდა მოახდინონ მემამულეებმა, მოქალაქეებმა, გლეხებმა და კაზაკებმა. მაზრის მემამულენი ყველა წოდებისა, მათ შორის გლეხნი—მესაკუთრენიც ირჩევენ წარმომადგენლებს გუბერნიის საარჩევნო კრებისთვის, რომელიც თვის შორის ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრებს. შიდა-გუბერნიებში 250 ათას მცხოვრებზე და განაპირა გუბერნიებში 350 მცხოვრებზე ერთი წარმომადგენელი ეყოლებათ; ქალაქის ამომრჩევლები, რა ერობასაც უნდა ეკუთვნოდნენ, თუ კი ქალაქში მამული აქვთ, და სადგომთა დამქირავებელნი, მეოთხე ხარისხიდან დაწყებული და სადგომის გადასახადის მიმცემნი, ასი ათას მცხოვრებზე თითო წარმომადგენელს ირჩევენ პირდაპირ სახელმწიფო საბჭოსთვის. ზოგი დიდი ქალაქი, სადაც 100 ათას მცხოვრებზე ნაკლებია, თითო წარმომადგენელს ირჩევს. გლეხები და კაზაკები გუბერნიიდან ანუ ოლქიდან ერთს წარმომადგენელს გზავნიან, გლეხები განსაკუთრებულ საარჩევნო ჯგუფს შეადგენენ და წარმომადგენელს სამკეცად ირჩევენ. ყოველი სამამასახლისო თავისუფლად, მოხელეთა თანადაუსწრებლად, ერთს დეპუტატს ირჩევს სამაზრო საარჩევნო კრებისთვის, რომელმაც თავის მხრივ ერთი დეპუტატი უნდა აირჩიოს საგუბერნიო კრებისათვის და ამ კრებაზე მთელ გუბერნიის გლეხთა დეპუტატები ერთს წარმომადგენელს ირჩევენ სახელმწიფო საბჭოსთვის. განზრახულია, რომ უმაღლესი მანიფესტი სახელმწიფო საბჭოს შესახებ 6 აგვისტოს გამოცხადდეს. ბულიგინის პროექტით დეპუტატის არჩევის უფლება მხოლოდ იმ ქალაქებს ეძლეოდათ, სადაც 100 ათასი მცხოვრებია, ანუ მეტი. მაგრამ მინისტრთა რჩევა დარწმუნდა, რომ ესეთი ქალაქები უფრო განაპირას არის და ამიტომ დიდ ქალაქთა რიცხვს შიდა-რუსეთის ზოგი ქალაქი მიუმატეს, მაგალითად: ნიჟნი-ნოვგოროდი, იაროსლავი, ვორონეჟი და სხ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევ.) ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშ

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვ ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა

თვალის სამკურნალო—კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 35 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელმიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.

ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემ

სამშობლოსათვის თავდადებულნი	40 კ.
რუსეთის დამყარება საქართველოში	20
ათი მოთხრობა ივ. მაჭავარიანისა	20
ხალხური ვეფხის ტყაოსანი	10
იაპონია. ნ. ნიკოლაძისა	20

დარბაზის კეკლუცად მოსართავი სურათები:

შოთა რუსთაველისა, დიდი 50 კ., აკაკისა 40 კ., ილია ჭავჭავაძისა 43 კ, რაფიელ ერისთავისა 40 კ., ნ. ბარათაშვილისა 50 კ., გიორგი წერეთლისა 30 კ., ეგნატე ნინოშვილისა 30 კ., ჯგუფი ქართველ მწერალთა 75 კ., ჯგუფი თამარ. ვეფხის ტყაოსნის მირთმევა 40 კ., საქართველოს დიდება 1 მ. 20 კ., თამარ მეფის დიდი სურათი 1 მ. 50 კაპ. და პატარა 6 კაპ.

და სხვა ყოველგვარი წიგნები.

მოსამართი: ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“, **სოსიკო მერკვილაძე.** (20—15)

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი

ბრძოლა არსებობისთვის

დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად

და სხვადასხვა ლექსები და პოემები დ. გამ-შვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—24)

!! Остерегайтесь поддѣлокъ!!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.

Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. Золотая медаль, Лондонъ 1893 г.
Цѣна за кусокъ 50 коп., 1/2 кус. 30 коп.
Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ.
Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ въ Москвѣ. (19—30с.—

Дозволено цензурою, Тифлисъ, 3 Августа 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი“, ფრეილინის ქ., № 5